პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 111 (13232) | ხუთშაბათი, 13 მაისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

ნარმატებით დავამთავროთ საგაზაფხულო სამუშაოები

მიწის მუშაკები ახლა მეტად პასუხსაგები გამოცდის წინაშე დგანან — სწორედ ახლა ეურება საფუძველი უხვ მოსავალს. თუ აგროვადებში და მაღალხარისხოვნად ვაწარმოებთ თესვას, თუ აგროწესებს ზუსტად დაცვით დავამუშავებთ ბაღ-ვენახებს, ჩაის პლანტაციებს, მაშინ უხვი მოსავალიც გარანტირებული იქნება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებების განხორციელების მიზნით ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ენერგიის, ცოდნისა და გამოცდილების დაუზოგავად შრომობენ, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ საპატიო წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში.

საგაზაფხულო თესვაზე გაწეული შრომის ბარომეტრი ცოცხებია. თუ კარგად დავუკვირდებით რესპუბლიკის სტატისტიკური სამმართველოს ცნობებს, შევამჩნევთ, რომ ზოგიერთი რაონის მაჩვენებელი გეგმასთან შედარებით პლუსით აღინიშნება, ზოგიერთისა კი მინუსით. წითელწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს, გურჯაანის, თერჯოლის, ზესტაფონის და მაიაკოვსკის რაიონების მიწდგრის მშრომელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჯირვეული ამინდის მიუხედავად საგაზაფხულო თესვის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს და ცხრილში მათ გასწვრივ პლუსებია.

ჩვენი რესპუბლიკა მთაგორიანი რელიეფით ხასიათდება და, ცხადია, თესვის ვადებიც სხვადასხვაა. მაგრამ ეს იმის უფლებას როდის გვაძლევს, რომ დავარღვიოთ აგროწესები. აგროწესების მიხედვით ლაგოდეხის რაიონში საგაზაფხულო კულტურების თესვა დამთავრებული უნდა იყოს, მაგრამ ათი მაისისათვის აქ 7.250 ჰექტარის ნაცვლად დათესილი იყო 4.309 ჰექტარი, ანუ გეგმის 59,4 პროცენტი. ლაგოდეხელ მემინდვრეებს უნდა შევახსენოთ, რომ აგროვადების დარღვევით თესვა მოსავლიანობაზე უარყოფითად მოქმედებს. ლაგოდეხელები განსაკუთრებით ჩამორჩენიან ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახებიან, აგრეთვე ბოსტნეული კულტურების თესვაში, არც სამარცვლე სიმინდის თესვის გეგმის შესრულების საქმეა კარგად. ნაცვლად 2.310 ჰექტარისა სამარცვლე სიმინდი დათესილი იყო 1.640 ჰექტარი.

სამარცვლე სიმინდის თესვაში ჩამორჩნენ აგრეთვე ახალციხელი მემინდვრეები. აქ ნაცვლად 1.552 ჰექტარისა სიმინდი დათესილი იყო 902 ჰექტარზე.

საგაზაფხულო თესვა საერთოდ რესპუბლიკაში ნელი ტემპით მიმდინარეობს. ათი მაისისათვის საგაზაფხულო კულტურები, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 377.838 ჰექტარისა, დათესილი იყო 255.098 ჰექტარი, რაც გეგმის 67,5 პროცენტს შეადგენს.

მართალია, მიმდინარე გაზაფხული უამინდობით ხასიათდება, მაგრამ საკმაოდ იყო ისეთი დღეებიც, როცა თესვა შეიძლებოდა და გულისხმიერი მემინდვრეები და მექანიზატორები ყოველ ხელსაყრელ დღეს თუ საათს უქმად არ კარგავდნენ. ამიტომ იყო, რომ მემინდვრეობის წამყვანმა რაიონებმა დროზე დაამთავრეს თესვა.

უხვი მოსავლის მისაღებად აგროვადებში და მაღალხარისხოვნად თესვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნათესების მოვლა-პატრონობას — კულტივაციის, თოხნის, მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის აგროწესების დაცვას. რესპუბლიკის აღმოსავლეთ რაიონებში თესვის პარალელურად წარმოებს ნათესების კულტივაცია. ეს დიდმნიშვნელოვანი სამუშაოა და იგი ზუსტად აგროვადებში უნდა შესრულდეს. აქ პირველი სიტყვა, ისევე როგორც თესვაში, ჩვენს მექანიზატორებს ეკუთვნით. წითელწყაროს რაიონში უკვე დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს მზესუმზირას ნათესების კულტივაცია. ეს სამუშაო კარგად მიმდინარეობს აგრეთვე სიღნაღის რაიონში.

სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობაში დიდ ხანია წარმატებით მუშაობს რესპუბლიკაში სახელგანთქმული მექანიზატორი ივ. ბაიდოშვილი. ამ დღეებში მას თანასოფლელებმა გამარჯვების დღესთან დაკავშირებით შეხვედრა მოუწყეს როგორც ომის ვეტერანს. მისი ბრიგადა ამ გაზაფხულზეც მოწინავეა. ბაიდოშვილის ბრიგადის გამოცდილებას რაიონის ბევრი მექანიზატორი დაეუფლა და ახლა მისი მაგალითით შრომაში წარმატებებს აღწევენ.

მექანიზატორთა, სპეციალისტთა, პარტიული და სამეურნეო დარგის მუშაკთა, სოფლის ყველა შრომელის საპატიო მოვალეობაა აგროვადებში, წესების ზუსტად დაცვით დაამთავრონ საგაზაფხულო თესვა, ნათესების დამუშავება და დაუცხრომლად იზრუნონ იმისათვის, რომ გაწეულმა შრომამ სასიკეთო ნაყოფი გამოიღოს — მიიღონ უხვი მოსავალი. ამისათვის საჭიროა მაღალნაყოფიერად გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, ხელსაყრელი ამინდი და ყოველი საშუალებით ვიბრძოლოთ სიუხვისათვის. ამთავითვე უნდა ვიზრუნოთ იმისთვის, რომ მოსავლის აღებისათვის მზადება დროზე დამთავრდეს, რომ თავთავიანი კულტურები შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ ავიღოთ.

საგაზაფხულო თესვის გარდა ახლა სოფლის მშრომელებს ბევრი სხვა საზრუნავი აქვთ. ჩაის ფოთლის შერჩევით კრეფა ზოგან დაიწყო. სულ მალე მთელი ძალით გაჩაღდება ფოთლის კრეფა. ამ საქმეში კარგი ინიციატივა გამოიჩინეს მახარაძის რაიონის მეჩაიეებმა. მათ ვალდებულება აიღეს მაის-ივნისში მოკრეფონ წლიური გეგმის 60 პროცენტი და მრეწველობას მიაწოდონ მაღალხარისხოვანი ჩაის ნედლეული. მახარაძელთა პატრიოტული თაოსნობის საფუძველზე რესპუბლიკის მეჩაიეებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება 200.000 ტონა ჩაის ფოთლისათვის. მეჩაიეთა გადაუდებელი ამოცანაა ჩაის ფოთოლი კრიფონ შეუფერხებლად, ყველანაირ ამინდში. ისე, რომ არ დაუშვან ფოთლის გაუხეშება და მრეწველობას მისცენ მხოლოდ მაღალხარისხოვანი ნედლეული. ხარისხისათვის ბრძოლას ყოველდღიური ზრუნვა და შეუნელებელი ყურადღება სჭირდება.

სულ მალე ვენახებში დაიწყება მწვანე ოპერაციები და წამლობა. ეს მეტად პასუხსაგები სამუშაოებია და აგროწესების დაცვა ყოველი მევენახის, სპეციალისტის, პარტიული ლა სამეურნეო დარგის მუშაკის პატრიოტული მოვალეობაა. თბილისში მიმდინარე წლის სექტემბერში ეწყობა ღვინოებისა და კონიაკების საერთაშორისო კონკურსი. რესპუბლიკის მევენახეები ამ ფორუმს საამაყო მაჩვენებლებით უნდა შეხვდნენ და ერთხელ კიდევ ისახელონ თავი, სამაგალითოდ დაიცვან მევენახეობის უძველესი ქვეყნის ღირსება და სახელი.

ხეხილისა და ციტრუსების ბაღებში ბევრი საზრუნავია გაზაფხულზე. ახლა მთავარია მავნებლებისა და დაავადებების, სტიქიის წინააღმდეგ ვიბრძოლოთ ენერგიულად. მოწინავეთა გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების წარმოებაში ფართოდ გამოყენებით.

სასოფლო პარტიული ორგანიზაციების, რაიონული კომიტეტების, სამეურნეო დარგის მუშაკთა, სპეციალისტთა და ყოველი კომუნისტის პატრიოტული მოვალეობაა დარაზმონ სოფლის მშრომელები დავალებათა შესასრულებლად, ყოველი საშუალებით იბრძოლონ იმისათვის, რომ წარმატებით, აგროვადებში დაამთავრონ საგაზაფხულო სამუშაოები, საპატიო წვლილი შეიტანონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

გიორგი ტრაიკოვი ერევანში ჩავიდა

ერევანი, 12 მაისი. (საკდესი). დღეს ვოლგოგრადიდან სომხეთის დედაქალაქ ერევანში ჩამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ტრაიკოვი.

200.000 ტონა ჩაის ფოთოლი

ახალი ზღვდმეზრა ასაღებად

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს რაიონის კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ და გაჩაღეს ბრძოლა ახალი ზღვდეების ასაღებად.

ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები მახარაძელთა მაგალითისამებრ ვალდებულებას კისრულობენ მაის-ივნისში შეასრულონ ჩაის ფოთლის კრეფისა და მზა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმის 60 პროცენტი.

რაიონის მეჩაიეებმა გადაწყვიტეს წლის ქვეყანას მისცენ 25.600 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული და საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 4.200 კილოგრამამდე აიყვანონ.

რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მშრომელები კისრულობენ საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 7 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო ნედლეულის მთლიანი წარმოება აიყვანონ 2 ათას ტონამდე.

ჭკადუაშის კომუნისტური შრომის კოლმეურნეობა სეზონში მოკრეფს 1.000 ტონა ჩაის ფოთოლს, ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა — 720 ტონას, ინგირისა — 1.120 ტონას, კორცხელისა—1.200 ტონას, კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობა — 1.200 ტონას. ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში გეგმის ზევით მოკრეფენ 100 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს.

მნიშვნელოვნად იზრდება ჩაის მექანიზებული კრეფა. წელს 1.400 ჰექტარზე იწარმოებს მანქანებით ნედლეულის აღება ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც ჩაის ფოთლის კრეფა ძირითადად მანქანებით ხდება, მოიკრიფება 1.800 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“. ბევრ კოლმეურნეობაში წარმატებით იყენებენ პლანტაციების ხელოვნურ რწყვას.

რაიონის მშრომელები არ დაზოგავენ ენერგიას, რათა სასახელოდ შეასრულონ შვიდწლედის დამამთავრებელი წლის დავალებები.

ი. ჩიქაკავა — პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი;
ი. ქანთარია — რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე; ა. ჭეჭია — სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი.

ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა

ქობულეთი. („კომუნისტის“ კორ.). პლანტაციებში გამოჩნდნენ მეჩაიეები. ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა რაიონში პირველებმა დაიწყეს ჩაის ნედლეულის კრეფა, ამ საქმეშოს შეუდგნენ ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაშიც.

წყალტუბო. (საკ. კორ.). რაიონში ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა პირველმა სოფელ გუმათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ დაიწყო. პირველ დღესვე მოიკრიფა 2.560 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი. სოფელ ცხუნკურის კოლმეურნეობის წევრმა ა. ფირცხალავამ ერთ დღეს შერჩევით მოკრიფა 32 კილოგრამი ფოთოლი, ხოლო გ. ჩიხლაძემ, ვ. კუტივაძემ, ვ. თვალაძემ თვითეულმა ოცდახუთ-ოცდახუთი კილოგრამი ჩაის ნედლეული.

ფოთლის კრეფის დღიურ გეგმას ორმაგად ასრულებენ სოფელ გუმბრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები გულნარა და ქეთო კოღუაშვილები.

წულუკიძე. („კომუნისტის“ კორ.). გუშინ წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მესამე, მეოთხე და მეხუთე აგროგანყოფილების მუშები გავიდნენ პლანტაციებში და შერჩევით მოკრიფეს 8 ტონაზე მეტი ფოთოლი. მუშამ შ. ყურაშვილმა პირველ დღეს მოკრიფა 26 კილოგრამი ჩაის ნედლეული ნაცვლად 12 კილოგრამისა, ხოლო მ. ხუტაროვამ — 32 კილოგრამი.

მეურნეობის კოლექტივი წელს 2 ათას ტონა ჩაის ნედლეულს გვაძლევდა ნაცვლად 1.850 ტონისა.

ფოთლის კრეფას შერჩევით ადგენენ ალბადიანელიძის სახელობისა და სუხჩის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობები.

ლალ ბაჰადურ შასტრი მოსკოვში

საბჭოთა მთავრობის მოწვეული 12 მაისს მოსკოვში ჩამოვიდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ლალ ბაჰადურ შასტრი.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, საპატიო სტუმარს შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. ე. დიმშიცი, სხვა ოფიციალური პირები.

აეროდრომზე იყვნენ მშრომელთა წარმომადგენლები, ინდოეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ტრილოკი ნატჰ კაული და სხვა უცხოელი დიპლომატები, ჟურნალისტები. (საკდესი).

შასტრი ეწვია ა. ნ. კოსიგინს

12 მაისს ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ლალ ბაჰადურ შასტრი კრემლში ეწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს.

ა. ნ. კოსიგინსა და ლალ ბაჰადურ შასტრის შორის გაიმართა გულახდილი, მეგობრული საუბარი. (საკდესი).

ა. ი. მიქოიანმა მიიღო ფრანს პრესის საagენტოს პრეზიდენტი და გენერალური დირექტორი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიქოიანმა 11 მაისს მიიღო ფრანს პრესის საინფორმაციო საagენტოს პრეზიდენტი და გენერალური დირექტორი ჟან მარენი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება საკდესის მოწვევით.

მიღების დროს გაიმართა საუბარი, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ა. ი. მიქოიანმა ჟან მარენს, რომელიც თავისუფალი საფრანგეთის ჯარების რიგებში იბრძოდა ჰიტლერელ ოკუპანტთა წინააღმდეგ, გადასცა საიუბილეო მედალი „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვების ოცი წელი“.

საუბარს დაესწრნენ ფრანს პრესის საagენტოს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განყოფილების გამგე ბ. კირშნერი, ფრანს პრესის მოსკოვის განყოფილების გამგე ბ. ულმანნი, საკდესის გენერალური დირექტორი დ. ბ. გორიუნოვი, საკდესის პასუხისმგებელი თანამშრომლები.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირში

მოსკოვი, 11 მაისი. (საკდესის კორ.). დღეს გაიმართა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნოს სხდომა, რომელმაც განიხილა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის მოსამზადებელი გეგმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის.

დღის წესრიგში იყო აგრეთვე შემდეგი საკითხები: სრულიად საკავშირო კონკურსის მოწყობა საუკეთესო ფელეტონისათვის და ინტერპრესფოტოს მეოთხე საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობა.

• • •

სრულიად საკავშირო კონკურსი გაზეთისა და ჟურნალის საუკეთესო ფელეტონისათვის მოეწყობა მიმდინარე წლის მაისიდან დეკემბრამდე. პრემირებული ფელეტონები ცალკე წიგნად გამოიცემა.

ინტერპრესფოტოს, საერთაშორისო გამოფენას ყოველ ორ წელიწადში აწყობს ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია. მორიგი, მეოთხე გამოფენა მოეწყობა მომავალი წლის 15 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე მოსკოვის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში.

სსრ კავშირ—საფრანგეთის თანამშრომლობა

მოსკოვი, 12 მაისი. (საკდესი). აქ მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ფერადი ტელევიზიის დარგში თანამშრომლობის შერეული კომისიის პირველმა სესიამ. იგი შეიქმნა საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მთავრობათა შეთანხმების საფუძველზე.

როგორც აღნიშნულია კომუნიკეში, სესიის მუშაობა მიმდინარეობდა ურთიერთგაგებისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის სულისკვეთებით. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება და რეკომენდაციები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს ორივე ქვეყნის სარეწველო და საექსპლოატაციო ორგანიზაციებს დაიჩქარონ ფერადი ტელევიზიის დანერგვა.

საქმიანი ქალაქი

საკდესის ცნობა

მიფრინავს „ლუნა-5“

მიმდინარე წლის 10 მაისს დღის დამლევს ფრენის პროგრამის შესაბამისად განხორციელდა ავტომატური სადგურის „ლუნა-5“ ტრაექტორიის კორექცია.

მას შემდეგ, რაც სადგურმა ავტომატურად მოახდინა ორიენტირება მზისა და მთვარის მიხედვით, ჩაირთო დამაკორექტირებელი მამოძრავებელი დანადგარი ფრენის ტრაექტორიის მოცემული მიმართულებით შესაცვლელად.

შეცვლილი ტრაექტორია დაზუსტდება რადიოგაზომვათა მონაცემებით. სადგურ „ლუნა-5“-თან დამყარებულია მტკიცე რადიოკავშირი.

11 მაისს 02 საათზე მოსკოვის დროით სადგური იმყოფებოდა 260 ათას კილომეტრზე დედამიწიდან.

შესრულებული კორექციის შემდეგ ტრაექტორიულ გაზომვათა დამუშავების შედეგად გამოირკვა, რომ ავტომატური სადგური „ლუნა-5“ მიფრინავს მთვარისაკენ და მიიღწევს მის ზედაპირს ღრუბლთა ზღვის რაიონში მომდინარე წლის 12 მაისს დაახლოებით 22 საათსა და 15 წუთზე მოსკოვის დროით.

ავტომატურ სადგურში „ლუნა-5“ პირველად წარმოებს მთვარეზე ნარნარი დაჯდომის სისტემის ელექტრული დამუშავება.

ტელემეტრიულ გაზომვათა მონაცემებით, სადგურის სისტემები ნორმალურად მუშაობენ. სადგურთან რადიოკავშირი მყარია.

12 მაისს 2 საათზე მოსკოვის დროით სადგური „ლუნა-5“ იყო 330 ათას კილომეტრზე დედამიწიდან და 46,5 ათას კილომეტრზე მთვარიდან.

12 მაისი. (საკდესი).

ქიმიკოსები თბილისში შეიკრიბნენ

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო სესია ადსორბენტების საკითხებზე

საქართველოს დედაქალაქი კვლავ გახდა მეცნიერთა დიდი ფორუმის ადგილი. ტექნიკის სახლში გაიხსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი და ტექნიკური ქიმიის განყოფილების ადსორბენტების სინთეზის, შესწავლისა და გამოყენების სამეცნიერო საბჭოს სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობს 200-მდე მეცნიერი ჩვენი ქვეყნის უდიდესი სამეცნიერო ცენტრებიდან — მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, მინსკიდან, ხარკოვიდან, ნოვოსიბირსკიდან, ამირკავკასიისა და შუა-აზიის რესპუბლიკებიდან.

სესია გახსნა ადსორბენტების საკითხთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ აკადემიკოსმა მ. მ. დუბინინმა. სესიის მონაწილეებმა — ქიმიის თვალსაჩინო სპეციალისტებმა — მოისმინეს მისი მოხსენება თემაზე „ზოგიერთი ახალი ცეოლითის სტრუქტურა და ადსორბციული თვისება“.

დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიური განყოფილების აკადემიკოსი-მდივნის გ. ვ. ცაცანაშვილის მოხსენება. მომხსენებელმა ილაპარაკა ქართველ ქიმიკოსთა ჯგუფის კვლევის შედეგებზე ცეოლითების წყალბადის ფორმების თვისებათა შესახებ. მოლეკულური საცრების ეს ფორმა ჩვენს ქვეყანაში პირველად სინთეზირებულია ქართველი მეცნიერების მიერ აკადემიკოს გ. ციცანაშვილის ხელმძღვანელობით.

ქართველმა ქიმიკოსებმა მრავალი წლის გამოკვლევების შედეგად დადგინეს ახალი ცეოლითების მაღალი კატალიზური თვისებანი ისეთი რთული რეაქციების დროს, როგორიცაა ნახშირწყალბადების კრეკინგის პროცესში სპირტების დეჰიდრაცია და სხვ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წყალბადის იონებით ალმასმაგი ზომის ცეოლითების მიღებას, რაც საშუალებას გვაძლევს სხვა ფორმის ცეოლითებისაგან განსხვავებით ისინი გამოვიყენოთ მეტად გარემოში.

სესიაზე მოხსენებანი წაიკითხეს აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პ. გ. რომანკოვმა და სრულიად საკავშირო ნავთობის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომელმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ს. ზ. ლევინსონმა.

სესია ექვს დღეს გაგრძელდება.

(საკდესი).

ჩვენს ღიად საკითხებზე

პროპერატორები თათბირობენ

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის 1964 წლის შედეგებსა და რესპუბლიკის კოოპერატორთა ამოცანებს, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა დასახა, მიეძღვნა ცეკავშირის საბჭოს მეოთხე კრება, რომელიც 12 მაისს გაიმართა თბილისის კოოპერაციულ სასწავლებელში.

მოხსენება გააკეთა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნ. ჯავახიძემ, შუანასანელ წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება. შარშან 1963 წელთან შედარებით სოფლის მოსახლეობას მიეყიდა 6.144 ათასი მანეთით მეტი ხორცი, ფრინველი, თევზი, პურის პროდუქტები, ავეჯი. მაგრამ მიღწეულს ვერ დავჯერდებთ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა ჩვენი ქვეყნის სამომხმარებლო კოოპერაციას ახალი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დაუსახა. საქართველოს კოოპერატორთა უპირველესი მოვალეობაა ღირსეულად განახორციელონ ეს ამოცანები.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის საოლქო კოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. კოკაიამ, სამხრეთ ოსეთის საოლქო კოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ პ. ხარებოვმა, აჭარის საოლქო კოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ დ. ცივაძემ, ხობის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. გოგინავამ, მახარაძის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ვ. დათუნაშვილმა და სხვებმა.

ცეკავშირის საბჭოს კრებაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მეჟავანაძე.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის საბჭოს კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები შ. ი. ჭანუყვაძე, გ. ი. ჩოგოვაძე, „ცენტროსოიუზის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ი. ლ. დავიდოვი. (საკდესი).

გავშვთა ჯანმრთელობა სახალხო საქმეა

საქართველოს პედიატრთა მეორე ყრილობა

ბავშვებისადმი სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს განიხილავს საქართველოს პედიატრთა მეორე ყრილობა, რომელმაც 12 მაისს დაიწყო მუშაობა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის, ბაქოს, ერევნის, ხარკოვისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების თვალსაჩინო მეცნიერი მედიკები.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ლ. საყვარელიძემ.

მოხსენება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურების მდგომარეობა“ გააკეთა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. კახიანმა.

საქართველოს სამედიცინო-საგანმანათლებლო ინსტიტუტის სასკოლო ჰიგიენის კათედრის გამგემ, დოცენტმა ა. ყანჩელმა.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ: აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ლ. ლაბახუა, აჭარის ასს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ვ. სტურუა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავარი პედიატრი კ. თედიაშვილი და სხვ.

ყრილობის მონაწილეებს მიესალმნენ პიონერები.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. გ. სტურუა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).

ბოლივიანი ქალი

ბაიონიანი

ბარბარული მოძმეობა

ნიუ-იორკი, 12 მაისი. (საკდესი). ქალაქ დემპოლისის (ალაბამის შტატი) პოლიციის უფროსმა კუპერმა გუშინ გამოიყენა ცოემლსადენი გაზი, რათა „დაეწყნარებინა“ დემონსტრანტები, რომლებიც დაეპატიმრეს სეგრეგაციის წინააღმდეგ გამოსვლაში მონაწილეობისათვის. კუპერის სიტყვით, როცა დემონსტრანტებმა ხმამაღლა ყვირილი დაიწყეს თავიანთ კამერაშიო, ავიღე კანისტრა, რომელიც სპეციალურად არის მოწყობილი გაზის მოსასხურებლად, შევედი კამერაში და გავუშვი გაზი. თვითონ სრულებითაც არ დავშავებულვარ, ცინიკურად განაცხადა პოლიციის შეფმა, მათ კი ხმა გაწყვიტეს.

მოძალადეთა რიცხვი იზრდება

ნიუ-იორკი, 12 მაისი. (საკდესი). ამერიკის 173-ე საპარო-სადესანტო ბრიგადის კიდევ ათასამდე პარაშუტისტი ჩამოვიდა დღეს ვიეტნამში, იუწყება საიგონიდან ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი.

გარდაიცვალა როჟე ვაიანი

პარიზი, 12 მაისი. (საკდესი). წუხელ გარდაიცვალა ცნობილი პროგრესული ფრანგი მწერალი როჟე ვაიანი.

ჟუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი იბრძვის, რომ ვადაზე ადრე შეასრულოს კუბის რესპუბლიკაში გასაგზავნად მძლავრი არტეზიული დანადგარების დიდი პარტია.

• • •

სურათზე: ამწყობი ზეინკლების ბრიგადირი ზურაბ ხონელიძე (მარცხნივ) და ზეინკალი დავით ხურცია აგრეგატის გამოცდის დროს.

ფოტო ს. კილაძისა.



ქართველ მეცნიერთა სტუმრები

ქართველი მეცნიერები დიდი გულთბილობითა და ვალფასადობით შეხვდნენ გუშინ, 12 მაისს თავიანთ კოლეგებსა და მეგობრებს — კუბის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ანტონიო ნუნიეს ხიმენესს და ჰავანის უნივერსიტეტის პრორექტორს მანუელ როდრიგეს სოლვეტტას.

მალე ჩამოსვლის შემდეგ კუბელი სტუმრები ეწვივნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი რესპუბლიკის სამეცნიერო საზოგადოებრიობის სახელით მიესალმა ანტონიო ნუნიეს ხიმენესსა და მანუელ როდრიგეს სოლვეტტას. მან გამოთქვა რწმენა, რომ კუბელი მეცნიერების ჩამოსვლა საქართველოში ხელს შეუწყობს მჭიდრო კონტაქტების დამყარებას ქართველ და კუბელ მეცნიერებს შორის. გულწრფელი დაინტერესება კვლევით, რაც წარმოებს საქართველოსა და კუბაში, — თქვა მან, — ხელს შეუწყობს ისეთი მეცნიერული პრობლემებისა და მეთოდების გამოვლინებას, რომლებიც ერთობლივ დამუშავებას საჭიროებენ და არასოდეს არ შეიძლება გათვალისწინებული იყოს აკადემიის ოფიციალური გეგმებით ან ნუსხებით.

კუბის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ანტონიო ნუნიეს ხიმენესმა აღნიშნა, რომ კუბელი მეცნიერები მხურვალედ ისწრაფვიან განავითარონ მეცნიერული ურთიერთობა საქართველოს მეცნიერებთან.

ანტონიო ნუნიეს ხიმენესმა დასწერეს გააცნო კუბის მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურა, მისი საქმიანობა, რაც ემსახურება კუბის რევოლუციის საქმეს, კუბა პროგრესს.

ჰავანის უნივერსიტეტის პრორექტორმა მანუელ როდრიგეს სოლვეტტამ განაცხადა: ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს სასარგებლო ურთიერთობა დავამყაროთ თბილისის უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან. სასიამოვნო იქნება, — თქვა მან შემდეგ, — რომ ქართველი მეცნიერები გვეწვიონ კუბაში. მეცნიერული კვლევის ურთიერთგაგაზიარება, პირადი კონტაქტი ხელს შეუწყობს კუბის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის გაფართოებასა და გაღრმავებას.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტები ი. ნ. ვეკუა, რ. რ. დვალი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარი სწავლული მდივანი ს. ვ. დურმიშიძე. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრები — აკადემიკოსი ი. ს. ბერიტაშვილი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები გ. ს. ძოწენიძე, ვ. დ. კუპრაძე, გ. ვ. წერეთელი, ვ. ვ. მახალდიანი, მ. ნ. საბაშვილი და სხვები. დამსწრეთა

პარტიული ცხოვრება

პასუხისმგებლობა და მოთხოვნელობა

საბჭოთა წყობილების პირობებში ცალკეულ ადამიანთა ინტერესები განუყოფელად შერწყმული და შეკავშირებული მთელი საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესებთან. საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნება, სახელმწიფო გეგმების ბეჯითადაა პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა, შეურიგებლობა ყოველივე იმისადმი, რაც ხელს უშლის მათს შესრულებას — საბჭოთა ადამიანების დამახასიათებელი თვისებაა. მცირე დაუდევრობა, უყაირათობა და მოშვებული მუშაობა თვითეული პატიოსანი მუშის, ინჟინრის, ტექნიკოსისა თუ მოსამსახურის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ისინი მომთხოვნელნი არიან როგორც საკუთარი თავისადმი, ისე შრომაში გარშემო მყოფი ამხანაგებისადმი, თავიანთი ხელმძღვანელებისადმი.

ამაში შეიძლება დარწმუნდეთ ჩვენი ქარხნის მაგალითით. ამ საწარმოში მომუშავე კომუნისტებისა და უპარტიო მუშების დიდი უმრავლესობა მაღალ პასუხისმგებლობას გრძნობს ქარხანაში არსებული მდგომარეობისათვის. ისინი შეურიგებელი არიან ნაკლოვანებებისადმი, გამოდიან ყოველივე ახლის დანერგვის ინიციატორებად, აქტიურ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ყველა მთგანის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ რამდენიმე მაგალითს მაინც მოვიყვან.

ჩვენს რესპუბლიკაში კარგად იცნობენ სახელოვან ჩარხშენებელს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ამწყობ ზეინკალს შოთა ფირცხალავას. იგი ქარხანას თავის მეორე ოჯახად თვლის და ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაში დარწმუნება ძნელი არ არის. შ. ფირცხალავა 20 წელზე მეტია ჩვენს საწარმოში მუშაობს და ამჟამად საკმაოდ ძნელ ობიექტს — სპეციალური საექსპორტო ჩარხების ასაწყობ უბანს ხელმძღვანელობს.

შ. ფირცხალავამ პირადი მაგალითით აღაფრთოვანა ამ უბანზე მომუშავე ამწყობი ზეინკლები, ჩაუნერგა მათ მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა. ისინი განსაკუთრებული დაძაბულობით, შემოკმედებითი ენთუზიაზმით მუშაობენ და შრომაში წარმატებებსაც აღწევენ. მაგრამ აწუხებთ მდგომარეობა მთელი საამქროსი, რომელიც თვიდან თვემდე ვერ ასრულებს სპეციალური ჩარხების გამოშვების დავალებებს. დაბალია პროდუქციის ხარისხიც.

სწორედ ეს საკითხი საფუძვლიანი წინასწარი მომზადების შემდეგ კომუნისტებმა გასული წლის ნოემბერში განიხილეს საამქროს ღია პარტიულ კრებაზე. მათ გამოაშკარავეს სერიოზული ნაკლოვანებანი ცალკეული უბნების საქმიანობაში. მოწინავე მუშებმა, კომუნისტებმა ი. უკლოვმა და პ. ტენიშევმა ილაპარაკეს შრომითი და საწარმოო დისციპლინის დარღვევის ცალკეულ ფაქტებზე, აღნიშნეს, რომ ნაკლოვანებანი გაცილებით ნაკლები იქნებოდა, საამქროს კოლექტივის ყველა წევრი კეთილსინდისიერად რომ ასრულებდეს მინდობილ საქმეს. მათ წინადადება წამოაყენეს ცალკეულ უბნებზე, თვითეული ჩარხისა და კვანძის აწყობაზე მიმაგრებინათ კომუნისტები, რომელსაც დაეკალათ კონტროლი გაწეული მუშაობისათვის და მიეღოთ ზომები კოლექტივის თვითეული წევრის პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის. ამ ღონისძიებებმა მალე საესურველი ნაყოფი გამოიღო: დეკემბერში გადიდდა ჩარხების გამოშვება, გაუმჯობესდა ცალკეული კვანძების აწყობისა და დეტალების გამოშვების ხარისხი.

მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის მოვალეობას ახალგაზრდა კომუნისტი, პირველი მექანიკური საამქროს ოსტატი ინჟინერი ავთანდილ ბრეგვაძე. კბილანსაკრელი უბანი, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, ყოველთვის მოწინავეა, მაღალი ხარისხის პროდუქციას უშვებს. აქ იშვიათია შრომისა და საწარმოო დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. უბანზე მომუშავე თითქმის ყველა მუშა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით და დიდი მონდომებით მუშაობს იმისათვის, რომ დამზადებული კბილანები მაღალი ხარისხის, ჯარგი გამძლეობისა იყოს და კბილანური გადაცემის სისტემაც უნაკლოდ მუშაობდეს.

ქარხნის კოლექტივში დიდი პატივისცემით სარგებლობს მეცხრე მექანიკური საამქროს უფროსი კომუნისტი ევტიხი ქობზიანიძე. მიუხედავად იმისა, რომ ეს საამქრო ამზადებს მრავალ სახის დიდი ნომენკლატურის საჩარხე დეტალებს, მაინც სისტემატურად გადამეტებით ასრულებს საწარმოო დავალებებს, უშვებს მაღალი ხარისხის პროდუქციას.

ე. ქობზიანიძე თითქმის 32 წელია მუშაობს ქარხანაში. ამ ხნის მანძილზე მან დიდი საწარმოო გამოცდილება შეიძინა, სახელი გაითქვა საქმის სიყვარულითა და ღრმა ცოდნით, წინადახედულებითა და დაკვირვებულობით, პატიოსნებითა და კეთილსინდისიერებით. ყველა ეს თვისება მას საშუალებას აძლევს სწორად შეაფასოს თვითეული მუშაკის შესაძლებლობანი და კოლექტივზე დაყრდნობით უნარიანად უხელმძღვანელოს საამქროს მუშაობას.

ამას წინათ საამქროს ერთ-ერთმა უპატრეტო მუშამ ულირსი საქციელი ჩაიდინა. იგი შეეცადა მიეთვისებინა სხვისი ნამუშევარი ერთხელ უკვე ჩაბარებული დეტალების ხელახლა ჩაბარების გზით. კომუნისტმა მღარავმა გ. დოშოიანმა ყალბისმქნელ მუშას ხელი შეუშალა. დოშოიანს ასევე საქციელზე ამსჯელეს კომუნისტებმა, გაკიცხეს იგი და პარტიული სახელი დაადეს. დოშოიანმა თავისი შეცდომა შეიგნო.

როგორც მოწინავე, თავდადებულ და კეთილსინდისიერ მუშაკს — ასე იცნობს ჩვენი კოლექტივი ქარხნის მთავარ მექანიკოსს, კომუნისტ ი. გერშკოვიჩს. იგი აქ ქარხნის თითქმის დაარსებიდანვე მუშაობს და ბეჯითი შრომით კოლექტივის პატივისცემა დაიმსახურა. უნდა ითქვას, რომ უბანი, რომელსაც გერშკოვიჩი ხელმძღვანელობს, ძნელი და რთულია. მაგრამ პირადი ინიციატივა და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა მოწინავე ინჟინერს შესაძლებლობას აძლევს პირნათლად შეასრულოს ყველა დავალება. არც ერთი საწარმოო თათბირი, პარტიული თუ საერთო კრება ისე არ მოეწყობა, რომ კომუნისტმა გერშკოვიჩმა რამდენიმე ისეთი წინადადება არ წამოაყენოს, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს ქარხნის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების ზრდას. ქარხნის კომუნისტთა მთელი კოლექტივის მაღალი პასუხისმგებლობის შედეგია, რომ აქ საგრძნობლად იკლო ამწეების გაცდენამ, გაუმჯობესდა მათი შეკეთების ხარისხი, შემცირდა დაზგა-დანადგარების მოცდენა; თითქმის ყველა ახალ დანადგარს ახლა დროულად და ხარისხიანად ამონტაჟებენ.

საქმის სიყვარულმა და პასუხისმგებლობის მაღალმა გრძნობამ უკარნახა ახალგაზრდა ხარატს, კომუნისტ რეზო წინწალაშვილს გამოსულიყო ახალი პატრიოტული თაოსნობით. მისი ინიციატივით ქარხანაში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება თავის პროფესიაში საუკეთესო მუშის სახელის მოსაპოვებლად. ქარხნის კომუნისტებმა ჩარხშენებელთა მრავალთასიანმა კოლექტივმა ერთსულოვნად დაუჭირეს ხმარი ამ მნიშვნელოვან თაოსნობას, რამაც დიდად შეუწყო ხელი საწარმოს მუშაობის გაუმჯობესებას. ჩვენი კოლექტივი ამაყობს იმით, რომ ახლა ხარატ წინწალაშვილს რესპუბლიკაში ათასობით მი²დევარი ჰყავს.

ცენტრალური ლაბორატორიის უფროსი ი. ჟურდაძე, № 1 საამქროს უფროსი ა. დათებოვი, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ვანყოფილების უფროსი ბ. ჯურდაძე, № 1 საამქროს უფროსი ა. დათებოვი, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ვანყოფილების უფროსი ბ. ამბესაძე, შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსი ა. ბელიკოვი, მთავარი კონსტრუქტორი ი. კოტლიარენკო, მთავარი ტექნოლოგის მოადგილეები ბ. ხოშალავა და ნ. ვარდანაშვილი, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი ლ. კულიკოვი და კიდევ ბევრი სხვა ყოველდღიურ საქმიანობაში გვიჩვენებენ კომუნისტისათვის დამახასიათებელ ისეთ შესანიშნავ თვისებებს, როგორიც არის საერთო საქმის სიყვარული, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა, მაღალი პასუხისმგებლობა და პრინციპულობა.

მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქარხანაში ჯერ კიდევ გვყავს ცალკეული კომუნისტები, რომლებიც მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, გულგრილი არიან ნაკლოვანებებისადმი, ობივატელურად მჯელობენ, ეს მე არ მეხება, ეს ჩემი საქმე არ არისო და სხვ. დასკვნა ერთია: ასეთი ადამიანები საკუთარ ნაუუბში იკეტებიან და თავის ცხვირს იქით ვერაფერს ხედავენ.

ხავსებით სწორად მოიქცა ქარხნის პარტიული კომიტეტი, როცა მკაცრად დაუჭირა საექსპორტო ჩარხების უბნის კომუნისტები დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის. განა ამ უბნის ყოფილი უფროსის კომუნისტ ი. ხუციანა და სხვა მუშაკების არადამაკმაყოფილებელი მუშაობით, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობისა და სიფხიზლის შესუსტებით არ აიხსნება ის ფაქტი, რომ „168“ მოდელის სახარატო ჩარხს საკონტროლო შემოწმებისას ათამდე დეფექტი აღმოაჩნდა?

ქარხანაში ხშირად გაისმის საუკეთესო სამეკდლო საამქროს კოლექტივის მისამართით იმის გამო, რომ აქ დაბალია შრომის დისციპლინა, მოუწესრიგებელია შრომა, ირღვევა ტექნიკური უსაფრთხოების წესები; საამქრო ვერ ასრულებს სადღეღამისო გრაფიკს, დიდია ნამატები ცალკეულ დეტალებზე. ქარხნის ხელმძღვანელობა ყოველგვარ დახმარებას უწევს საამქროს, მაგრამ აქ მაინც ნელა გარდაქმნიან მუშაობას. ეს იმის გამო, რომ საამქროს უფროსი გ. იაგჟიანი და პარტბიუროს მდივანი ი. ძაგოევი ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მუშებს შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას.

გვყავს ისეთი კომუნისტებიც, რომლებიც პასუხისმგებლობას არ გრძნობენ ოჯახის წინაშე, შორს დგანან ბავშვთა აღზრდის საქმიდან, ცუდ მაგალითს უჩვენებენ სხვებს. № 8 საამქროს მუშა, კომუნისტი ი. პაშკოვი სისტემატურად სვამდა, სამუშაოს აცდენდა და ოჯახს აწიოკებდა. საამქროს კომუნისტებმა პარტიულ კრებაზე მკაცრად გააკრიტიკეს იგი უღირსი საქციელისათვის და წინადადება მისცეს აღედგინა ოჯახში ნორმალური მდგომარეობა. საქმეში ქარხნის პარტიული კომიტეტიც ჩაერია. ვიმსჯელეთ ამ საკითხზე და ი. პაშკოვი მკაცრად დავსაჯეთ. მისი უღირსი საქციელი შეეტყო მთელმა კოლექტივმა, რომელმაც იკისრა პაშკოვის გამოსწორება. პაშკოვი გამოსწორდა, წარმოების მოწინავე მუშაკი გახდა და ოჯახურ საქმეებშიც სამდურავი არ ეთქმის. ასეთი მაგალითი ცოტა როდია.

მაღალი მომთხოვნელობა პარტიული ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი თვისებაა. იგი ერთ-ერთი იმ პირობათაგანია, რომლებიც ხელმძღვანელ ორგანოებს საშუალებას აძლევს გააუმჯობესონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ფორმები და მეთოდები, მიაღწიონ კონკრეტულ შედეგებს.

მომთხოვნელობა უწინარეს ყოვლისა ნიშნავს შემოწმებას კონკრეტული, პრაქტიკული საქმეების მიხედვით. ხელმძღვანელობის ისე დაყენებას, რომლის დროსაც პარტიული გადაწყვეტილებებია და დირექტივების შეესრულებლობის არც ერთი შემთხვევა შეუმჩნეველი არ დარჩება, ხოლო კანონის დარღვევის ყოველგვარი ცდა, შინაპარტიული ცხოვრების წესებიდან და ნორმებიდან გადახვევა პრინციპულ შეფასებას მიიღებს, უკვალოდ და დაუსჯელად არ ჩაივლის.

პირველადი პარტიული ორგანიზაცია მოღვაწეობს იქ, სადაც წყდება ჩვენი ყველა წარმატების ბედი, სადაც ყალიბდება ახალი ადამიანი. იგულისხმება, რომ საქმის ასე დაყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითონ პარტიული ორგანიზაცია იქნება მაღალ მოთხოვნათა დონეზე.

ჩვენი ქარხნის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც 19 საამქრო პარტიულ ორგანიზაციას აერთიანებს, ყოველმხრივ ეხმარება კომუნისტებს იმაში, რომ გამოიჩინონ მეტი ინიციატივა, უფრო დაინტერესდნენ ცხოვრების საკითხებით და უშუალო, აქტიური მონაწილეობა მიიღონ მათი განხორციელებისათვის ბრძოლაში. პარტიული კომიტეტი ზრუნავს ზე განვიხილეთ სარატოველთა თაოსნობისათვის, რომ კომუნისტები განუხრელად იმალლებდნენ იდეურ დონეს, იყონ შეგნებულნი და პრინციპულნი.

პარტიულ კრებებსა და კომიტეტის სხდომებზე კომუნისტები გამოდიან ნაკლოვანებათა მკაცრი კრიტიკით, ამასთან აყენებენ საქმიან წინადადებებს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, შემდეგ კი თვითონვე აქტიურად მონაწილეობენ მათ განხორციელებაში. ყოველივე ეს ამაღლებს კომუნისტთა პასუხისმგებლობას, ავითარებს მათს ინიციატივასა და თვითმოქმედებას.

ამას წინათ გაიმართა ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. აქ სიტყვით გამოსულმა მუშა კომუნისტმა ვ. ბელენკომ აღნიშნა, რომ ქარხანაში დაბალია საწარმოო კულტურა, რაც გავლენას ახდენს კოლექტივის სამეურნეო შედეგებზე. მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მან შემოიტანა მთელი რიგი წინადადებანი.

ქარხნის დირექცია და პარტიული კომიტეტი, რომლებსაც ევალებოდა ეს წინადადებები, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საჭიროა თვითეულ საამქროში ჩამოყალიბდეს საწარმოო კულტურის კომისიები, რომლებიც ყოველდღიურად შეამოწმებენ, თუ რა გაკეთა თვითეულმა მუშამ, ოსტატმა, უბნის უფროსმა საწარმოო ადგილის უკეთ მოსაწყობად, საწარმოო კულტურის ასამაღლებლად. კომისიების ჩამოყალიბება არ დაგვიყოვნია. ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ მათ ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ. კომისიების შემოწმების მასალები სისტემატურად ქვეყნდება საამქროში — ამ მიზნით მოწყობილია დაფებზე, შემდეგ კი საერთო-საქარხნო დაფაზე კეთდება ყოველდღიური აღნიშვნები. ეს გაფრთხილებაა იმ უბნისა და საამქროსათვის, რომლებიც ამ დიდ საქმეს საჭირო ყურადღებას არ აქცევენ. ასეთმა ღონისძიებამ ხელი შეუწყო თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობის ამაღლებას. ისინი ცდილობენ წესრიგში იქონიონ სამუშაო ადგილი, იარაღები. ეს კი საბოლოოდ გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, რისთვისაც ბრძოლა ახლი ძალით გააჩაღეს კიროველმა ჩარხშენებლებმა მოსკოვისა და ლენინგრადის 38 საწარმოს კოლექტივების პატრიოტული თაოსნობის შემდეგ.

პარტიული კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე ამაღლებულ ბრძოლა ახალი ძალით გააჩაღეს კიროველმა ჩარხშენებლებმა მოსკოვისა და ლენინგრადის 38 საწარმოს კოლექტივების პატრიოტული თაოსნობის შემდეგ.

პარტიული კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე ზე განვიხილეთ სარატოველთა თაოსნობისათვის მხარდაჭერის საკითხი. როგორც ცნობილია, სარატოველებმა იკისრეს აამაღლონ თვითეული მუშის პასუხისმგებლობა პროდუქციის ხარისხისათვის და მიაღწიონ იმას, რომ მუშა თავის პროდუქციას პირველ წარდგენისთანავე აბარებდეს ტექნიკური კონტროლის მუშაკს ნაკეთობაზე თავისი პირადი დამღის დასმით. კომუნისტებმა მოითხოვეს ჩვენს ქარხანაზე გაჩაღებულიყო სოციალისტური შეჯიბრება უწინო, მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის.

კომუნისტთა ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა და დირექციამ. ახლა ამ მეთოდით მუშაობს ქარხნის თითქმის ყველა საამქრო.

გაიზარდა იმ მუშების რიცხვიც, რომლებსაც უფლება აქვთ პროდუქცია საკუთარი დამღის დასმით ჩააბარონ. ამან საგრძნობლად შეუწყო ხელი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და თვითეული მუშის პასუხისმგებლობის ამაღლებას.

შინაპარტიული დემოკრატიის დაცვამ, კომუნისტთა შორის დავალებათა სწორად განაწილებამ და მომთხოვნელობის გაძლიერებამ აამაღლა პარტიული მასების აქტივობა და პასუხისმგებლობა. ახლა ქარხანაში არა გვყავს ისეთი კომუნისტი, რომელსაც მუდმივი ან ერთდროული პარტიული დავალება არა ჰქონდეს.

ქარხნის პარტიული კომიტეტი, საამქროთა პარტიული ორგანიზაციები ენერგიულად იბრძვიან იმისათვის, რომ გაზარდონ კომუნისტთა პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის და გააძლიერონ მათდამი მომთხოვნელობა. ეს ხელს შეუწყობს ქარხნის კოლექტივს მის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით განხორციელებაში.

ს. მიქაძე.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

პარტიული ჟურნალისტიკა

ჟურნალი და მკითხველი

გორი. („კომუნისტის“ კორ.). საქმიანი და სასარგებლო იყო ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ მკითხველთა კონფერენცია, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ მოეწყო.

ჟურნალისა და მისი კოლექტივის საქმიანობის შესახებ მკითხველებს ესაუბრა რედაქტორის მოადგილე ა.ა. ჩაკლიაშვილი.

გორის ბამბეულის კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანმა ე. ბუთხუზმა გამოთქვა სურვილი, რომ რედაქციამ მეტი ყურადღება მიაქციოს პროპაგანდისტებისათვის მეთოდური წერილების გამოქვეყნებას და მოწინავე პროპაგანდისტთა გამოცდილების გაზიარებას.

ლექტორ-პროპაგანდისტმა ბ. დარბაზნიამ მოითხოვა — ჟურნალმა თავის ფურცლებზე უფრო ფართო ადგილი დაუთმოს პერიფერიებში მომუშავე მეცნიერ მუშაკებს.

გორის კულტურის უნივერსიტეტის ლექტორმა გ. ჩიტაიამ წამოაყენა წინადადება მეტი ყურადღება მიექცეს ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების აღმოფხვრისათვის ბრძოლისა და ესთეტიკური აღზრდის საკითხების გაშუქებას.

პედინსტიტუტის პარტბიუროს მდივანმა ა. კობერიძემ გამოთქვა სურვილი ჟურნალმა გააშუქოს უმაღლესი სასწავლებლების პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა.

ჟურნალის მუშაობის შესახებ თავიანთი აზრი გამოთქვეს აგრეთვე მრავალტირაჟიან გაზეთ „გორელი ფიეტრის“ პასუხისმგებელმა მდივანმა ნ. ხითარიშვილმა, პროპაგანდისტმა ზ. ზეკალაშვილმა, პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. ილარიონაშვილმა.

ლექტორები მოსკოვიდან

ამას წინათ პარტიის სიღნაღის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტში გამართულ ლექციებს ბევრი მსმენელი დაესწრო. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ საინტერესო ლექციები წაიკითხეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ლექტორებმა საოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა ლ. ვარეცკაიამ და ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ე. ბოროდინმა. მათ ფართოდ გააშუქეს პლენუმის გადაწყვეტილებათა დიდი მნიშვნელობა, საბჭოთა ხალხის ამოცანები.

მოსკოველმა ლექტორებმა საუბრები გამართეს აგრეთვე სოფელ ულიანოვკის კოლმეურნეობაში.

მ. ჯვრიშვილი.

კომუნისტები და წარმოების კულტურა

ჭიათურა. (საკ. კორ.). ახალი ითხვისის მაღარო ერთ-ერთი მძლავრი და მექანიზებული საწარმოა ჭიათურაში, მაგრამ აქ ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას წარმოების კულტურა. ბევრ საწარმოო უბანში ჩახერგილობა და ტალახია, ნაკლებად ზრუნავენ სამთო მექანიზმების მოვლა-პატრონობისათვის, მაღაროს ტერიტორიის დასუფთავებისათვის. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს მარგანეცის ხარისხზე, დაკალებათა შესრულებაზე.

ამ დღეებში მაღაროს პატიოსანმა ორგანიზაციამ ღია პარტიულ კრებაზე განიხილა პარტიული ბიუროს ანალიზი ამაღლების საკითხი. კომუნისტებმა მოისმინეს მაღაროს დირექტორის ი. ბაირამაშვილის მოხსენება. კამათის მონაწილე კომუნისტებმა, მაღაროს გამგეებმა ინჟინრებმა გ. კუპავამ, ა. ერაძემ, ტრანსპორტის უფროსმა ა. მეგრელიშვილმა, უბნის გამგემ ს. გოცაძემ, პარტბიუროს მდივანმა ე. ქაპანაძემ მოურიდებლად ამხილეს ნაკლოვანებანი, წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ღუნი-ქველებურად, მიჯაჭი—იგივე

პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის ბრძოლა მუდამ იყო, არის და კვლავაც იქნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღების ცენტრში. პარტიის XXII ყრილობაზე აღინიშნა, რომ პროდუქციის ხარისხის ამაღლება სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესების ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა.

ამ ისტორიული პარტიული ყრილობის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლამ უაღრესად მასობრივი ხასიათი მიიღო. ამით აიხსნება ის უმაგალითო დიაპაზონის გახმაურება, რომელიც მოსკოვისა და ლენინგრადის 38 სამრეწველო საწარმოს კოლექტივების პატრიოტულ ინიციატივას მოჰყვა — 3-4 წელიწადში მიეღწიოთ პროდუქციის ხარისხის ამაღლებას საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონემდე! მართლაც, ახლა მრეწველობის საწარმოთა მუშაკები გულმოდგინედ, მონდომებით სწავლობენ და ეძიებენ ახალ შესაძლებლობებს, ავლენენ და იყენებენ ახალ რეზერვებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, თანდათან აუმჯობესებენ საწარმოთა მუშაობის მაჩვენებლებს, მტკიცედ ეუფლებიან რენტაბელობას, მკვეთრად ამაღლებენ ნაკეთობათა ხარისხს და აღწევენ საუკეთესო ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში ასეთი მკვეთრი წარმატებების მაგალითები მრავალია ჩვენს რესპუბლიკაში. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, იქვე აზოტოვანი სასუქების ქარხანა, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელო ქარხანა, თბილისის კერამიკული კომბინატი და სხვ. ამ საწარმოთა კოლექტივებმა შესაამჩნევად გაუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი, მინიმუმამდე დაიყვანეს წუნით გამოწვეული ზარალი, თითქმის აღარ მოდის პრეტენზიები მომხმარებელი ორგანიზაციებისათვის მათ მიერ მიწოდებულ პროდუქციაზე. ერთი სტაყანი, საქართველოში მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად მუშაობის გაჯანსაღებაში ძირეულ გარდატეხას მიაღწიეს.

მაგრამ ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის მრეწველობის ბევრი საწარმოს კოლექტივი კვლავ ძველებურად მუშაობს, კვლავ უხარისხო და უკომპლექტო პროდუქციას გვაძლევს, ურიგდება სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დარღვევის შემთხვევებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟში ხშირად შემოდის საჩივრები ზოგი სამრეწველო საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის, განსაკუთრებით სახალხო მოხმარების საქონლის უხარისხობის შესახებ.

სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ განხილული საქმეებიდან დასტურდება, რომ განსაკუთრებით დაბალი ხარისხობრივი მაჩვენებლები ახასიათებს თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის, მაუდ-კამეოლის კომბინატის, გორის ბამბეული ქსოვილების კომბინატის, თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის და მთელ რიგ სხვა საწარმოთა კოლექტივების მიერ გამოშვებულ პროდუქციას.

ეტყობა, ამ საწარმოთა ხელმძღვანელები შეეწყნარებელ დაუდევრობას იჩენენ, არ ითვალისწინებენ, რომ დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება ნიშნავს მასალების, ხელფულისა და შრომის უნაყოფო ხარჯვას, წარმოების მოცდენას, დროის დაკარგვას, რაც ამუხრუჭებს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდას, ზიანს აყენებს მთელ სახალხო მეურნეობას.

სახელმწიფო არბიტრაჟმა გასულ 1964 წელს გამოტანილი გადაწყვეტილებებით თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას უხარისხო საქონლის მიწოდებისა და ქსოვილების გადაყვანისათვის უმაღლესი ხარისხიდან დაბალ ხარისხებში ჯარიმის სახით გადაახდევინა 70.328 მანეთი, გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატს — 31.150 მანეთი, თბილისის მაუდ-კამეოლის კომბინატს — 52.280 მანეთი.

შარშან მარტში თბილისის აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ კიევის ცენტრალურ უნივერმაღს 16.783 მანეთის წუნდებული ქსოვილები მიაწოდა, ხოლო „ბელტექსტილტორგის“ გროდნოს ბაზას — 69.280 მანეთისა. მარტო ამ ორი მომხმარებლის სასარგებლოდ ფაბრიკამ გადიხადა 24 ათას მანეთზე მეტი ჯარიმა. იმავე წლის ივლისში იმავე ფაბრიკას სტანდარტის დარღვევით მარკირებული ქსოვილების გაგზავნისათვის ტოტიუბინსკის სარაინონაშორისო ბაზის სასარგებლოდ გადაახდევინეს 10.285 მანეთი ჯარიმა.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ თითქმის ყველა მომხმარებელი ორგანიზაცია თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მიერ გამოშვებულ ქსოვილებს აბრუნებს ერთი და იმავე დეფექტების გამო: ქსოვილის არასრულყოფილად გამოყვანა, ცუდად შეღებვა, ქსოვის ტექნოლოგიური ნაკლოვანებანი. რასაკვირველია, ამ დეფექტების აღმოფხვრა ფაბრიკას უთუოდ საკუთარი ძალებითვე შეუძლია, თუ სათანადო მონდომებას გამოიჩენენ, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეს მონდომება არ იგრძნობა. ასეულათასობით მანეთის უხეიროდ, დაუდევრად შედეგილი ქსოვილებს უბრუნებენ ფაბრიკას მომხმარებელი ორგანიზაციები მოსახლეობაში ასეთი საქონლის მოთხოვნილების უქონლობის გამო. მაშასადამე, ქსოვილების გაგზავნასა და უკან დაბრუნებაზე უხაოოდ იხარჯება საგრძნობი სახელმწიფო თანხები!

მიუხედავად იმისა, რომ მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში, კერძოდ, სამკერვალო ფაბრიკებში, გახუწყვეტლივ ინერგება ახალი ტექნიკა და გაუმჯობესებული ტექნოლოგია, ლამაზ, მოხდენილ ნაწარმს ვერც ისინი გვაძლევენ. მაღაზიები სავსეა მზა ტანსაცმლით, მაგრამ მომხმარებელი, ხშირ შემთხვევაში, ვერ პოულობს თავისი ზომის, თანამედროვე მოდელის, ლამაზად შეკერილ ნაწარმს.

თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკამ შარშან აპრილში, ივლისსა და ავგისტოში ყაზახეთის ტანსაცმლეკერვობის ალმა-ატის და ჩრდილოეთ ყაზახეთის უნივერსალურ ბაზას 33.320 მანეთის წუნდებული შეკერილი ნაწარმი მიაწოდა და ამის გამო ფაბრიკას 6.161 მანეთი ჯარიმა გადაახდევინეს.

მდარე ხარისხის, ულამაზო ნაწარმს უშვებენ რესპუბლიკის ფეხსაცმლისა და საავეჯო საწარმოებიც, რის შედეგადაც ამ საწარმოებში წუნით გამოწვეული დანაკარგები სისტემატურად იზრდება.

გასულ წელს ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანებამ — „ისანმა“ მარტო სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებით წუნისა და პროდუქციის ჩამოფასებისათვის 21.000 მან. ჯარიმა გადიხადა. ეს ფაქტი ცხადყოფს, თუ რაოდენ მოუქნელად ხელმძღვანელობენ ფეხსაცმლის საწარმოთა მუშაობას გაერთიანების მეთაურები, ცოტას ზრუნავენ წარმოების მაღალი კულტურის ამაღლებისათვის, საყმარისი ყურადღებას აქცევენ ადამიანთა აღზრდას, ბრძოლა ცუდად მიდის ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმის, ბოროტად გამოყენებული კრიტიკა-თვითკრიტიკის, ბრალდებათა ერთმანეთზე გადაბარების, ანგარიშგებათა ფორმალურ-ბიუროკრატიული ხასიათის, ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის ფორმალიზმის, ბიუროკრატიული ბოროტებანი ფეხს იდგამენ.

ეს ფაქტები ცხადყოფს, ამ დეფექტების აღმოფხვრა ფაბრიკას უთუოდ საკუთარი ძალებითვე შეუძლია, თუ სათანადო მონდომებას გამოიჩენენ, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეს მონდომება არ იგრძნობა. ასეულათასობით მანეთის უხეიროდ, დაუდევრად შედეგილი ქსოვილებს უბრუნებენ ფაბრიკას მომხმარებელი ორგანიზაციები მოსახლეობაში ასეთი საქონლის მოთხოვნილების უქონლობის გამო. მაშასადამე, ქსოვილების გაგზავნასა და უკან დაბრუნებაზე უხაოოდ იხარჯება საგრძნობი სახელმწიფო თანხები!

მიუხედავად იმისა, რომ მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში, კერძოდ, სამკერვალო ფაბრიკებში, გახუწყვეტლივ ინერგება ახალი ტექნიკა და გაუმჯობესებული ტექნოლოგია, ლამაზ, მოხდენილ ნაწარმს ვერც ისინი გვაძლევენ. მაღაზიები სავსეა მზა ტანსაცმლით, მაგრამ მომხმარებელი, ხშირ შემთხვევაში, ვერ პოულობს თავისი ზომის, თანამედროვე მოდელის, ლამაზად შეკერილ ნაწარმს.

თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკამ შარშან აპრილში, ივლისსა და ავგისტოში ყაზახეთის ტანსაცმლეკერვობის ალმა-ატის და ჩრდილოეთ ყაზახეთის უნივერსალურ ბაზას 33.320 მანეთის წუნდებული შეკერილი ნაწარმი მიაწოდა და ამის გამო ფაბრიკას 6.161 მანეთი ჯარიმა გადაახდევინეს.

**მდარე ხარისხის

მსხვერპლი ამაო არ უნდა იყოს

ომის ვეტერანთა საერთაშორისო შეხვედრა

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავის აღსანიშნავად მოსკოვში 11 მაისს დაიწყო ომის ვეტერანთა და ანტიფაშისტური განმათავისუფლებელი ბრძოლის მონაწილეთა საერთაშორისო შეხვედრა.

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შეიკრიბნენ თვალსაჩინო საბჭოთა მხედართუფროსები, მოკავშირეთა არმიების ყოფილი ჯარისკაცები, ოფიცრები და გენერლები, წინააღმდეგობის გმირი მებრძოლები, ფაშისტური ბანაკებისა და საპყრობილეების ყოფილი ტყვეები — სულ 23 ქვეყნის წარმომადგენლები. ყველას მკერდს უმშვენებს საბრძოლო ჯილდოები.

ჩვენ ერთად ვიბრძოდით საერთო მტრის წინააღმდეგ, თქვა ომის ვეტერანების საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის მარშალმა ს. კ. ტიმოშენკომ, რომელმაც შეხვედრა გახსნა. — და დღეს, ჩვენი გამარჯვების 20 წლისთავზე, კვლავ ერთად ვართ. ეს ძალიან სასიხარულოა, მეგობრებო!

შეხვედრის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულთა ნათელ ხსოვნას. წინააღმდეგობის მებრძოლთა საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივნის ჟ. ტეჟასის წინადადებით აირჩიეს პრეზიდიუმი, რომელშიც შევიდნენ შეხვედრის მონაწილეა ყველა ქვეყნის წარმომადგენელები. ტაშის გრიალში პრეზიდიუმში მიიწვიეს დოლორეს იბარური, მანოლის გლეზოსი, თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავრები — საბჭოთა კავშირის მარშლები.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს, საბჭოთა კავშირის მარშალს რ. ი. მალინოვსკის. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელითა და დავალებით, საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომართა სახელით იგი მიესალმა ომის ვეტერანთა მოსკოვის ფორუმის მონაწილეებს. წარსული ომის წლებში, თქვა მარშალმა, საბჭოთა კავშირი ერთგული და ხაიმედო პარტნიორი იყო ჩვენი მოკავშირეებისა ანტიჰიტლერულ კოალიციაში.

კაცობრობა არასოდეს არ დაივიწყებს იმათ, ვინც მონაწილეობდა უდიდეს ბრძოლაში ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ, ვინც ხერხემალი გადაუტეხია ფაშისტს მხეცის დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, ვინც ლაბარაკს სცემდა მას პარტიზანულ ბრიგადებსა და წინააღმდეგობის რაზმებში, ვინც იბრძოდა და იატაკქვეშეთში, ვინც გამარჯვებას სჯიდა ზურგში.

დიდი გამარჯვების 20 წლისთავის ზეიმის დღეებში, განაგრძო თავდაცვის მინისტრმა, ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, მხურვალედ მოვეწოდებთ კეთილი ნების ყველა ადამიანს, და გახსაკუთრებით იმათ, ვინც სხვებზე უკეთ იცის თუ რა უბედურებაა ომი, — ომის ვეტერანებს, წინააღმდეგობის მებრძოლებს, საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილ ტყვეებს — გააერთიანეთ მეცადინეობა ომის პროგაკატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში!

ვეტერანებს მიესალმა თადარიგის გენერალი პიერ პუიადი, — საავიაციო პოლკის „ნორმანდია-ნიმანის“ ყოფილი მეთაური. მან გულთბილად გაიხსენა საბრძოლო მეგობრობის წლები, როცა ფრანგი მფრინავები საბჭოთა კავშირის მფრინავების მხარდამხარ საბჭოთა ცაში იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. ეს შეხვედრა, თქვა პიერ პუიადმა, ხელს შეუწყობს ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის დიად საქმეს.

სიტყვა წარმოთქვა ბრიტანეთის არმიის გადადგარმა კაპიტანმა დ. პრინსმა. შემდეგ სიმღერით „დაე მუდამ იყოს მზე“ დარბაზში შემოვიდნენ მოსკოველი ბავშვები. ისინი მხურვალედ მიესალმნენ ვეტერანებს და ხმაშეწყობით იმეორებდნენ: „თქვენ დაამარცხეთ ფაშიზმი ამ საშინელ ომში, გმადლობთ!“

ტრიბუნაზეა პოლონეთის ჯარის გენერალ-ლეიტენანტი ფ. ქსენჭარჩიკი. მან პატივისცემით აღნიშნა წარსულ ომში დაღუპულთა ხსოვნა, თქვა, რომ მათ უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს გადარჩენას, მათ წინაშე ვართ პასუხისმგებელნი იმისათვის, რომ გაღეღეული მსხვერპლი ამაო არ იყოს. ანტიჰიტლერული კოალიციის ყოფილმა ჯარისკაცებმა ფხიზლად უნდა ადევნონ თვალყური ყოველგვარ ავანტიურისტთა ხრიკებს, რომლებიც ცდილობენ გააჩაღონ ახალი ომის ხანძარი.

სათანადოდ შეაფასა საბჭოთა ხალხისა და მისი არმიის წვლილი ჰიტლერიზმის დამარცხების საქმეში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა, მეორე მსოფლიო ომის მონაწილემ რობერტ ტომპსონმა. მან განაცხადა, რომ მისი ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ძალებს ესმით იმ მდგომარეობის სერიოზულობა, როცა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი ატომურ ომს ემუქრება ადამიანურ ცივილიზაციას. ეს არის მოძახილი იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ახორციელებს.

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა აგრეთვე მწერალი ბ. ნ. პოლევოი.

ომის საბჭოთა ვეტერანების სახელით შეხვედრის მონაწილეებს გულთბილად მიესალმა საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი. მეორე მსოფლიო ომის გაკვეთილებზე რომ ვლაპარაკობთ, ხაზგასმით აღნიშნა მარშალმა, ამას ვმბრუნით აწმყოსა და მომავლისათვის, იმისათვის, რომ ახლანდელმა და მომავალმა თაობებმა არ განიცადონ ახალი უბედურებანი, გაცილებით უფრო საშინელი უბედურებანი, ვიდრე ჩვენ გვხვდა წილად. მან ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა იმ ძალების მოქმედების ერთიანობის შეკავშირება და განმტკიცება, რომლებიც იმპერიალისტი აგრესორების წინააღმდეგ იბრძვიან. ამერიკის შეერთებული შტატების მძართველი წრეები, თქვა მარშალმა, ცდილობენ აიძულონ ვიეტნამელი ხალხე მოახდინოს კაპიტულაცია. მაგრამ ვიეტნამს, განაცხადა მან დამაწყრეთა ტაშის გრიალში, ჰყავს მოკავშირეები — საბჭოთა კავშირი, სოციალიზმის ქვეყნები და მთელი პროგრესული ძალები.

ი. ს. კონევმა მოუწოდა ყველა ვეტერანს— ყოფილ თანამებრძოლებს ჰიტლერის ხმა ალიმაღლონ ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ, ვიდრე ოდესმე წარსულში. ეს არის მოძახილი იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ახორციელებს.

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა აგრეთვე მწერალი ბ. ნ. პოლევოი.

ომის საბჭოთა ვეტერანების სახელით შეხვედრის მონაწილეებს გულთბილად მიესალმა საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი. მეორე მსოფლიო ომის გაკვეთილებზე რომ ვლაპარაკობთ, ხაზგასმით აღნიშნა მარშალმა, ამას ვმბრუნით აწმყოსა და მომავლისათვის, იმისათვის, რომ ახლანდელმა და მომავალმა თაობებმა არ განიცადონ ახალი უბედურებანი, გაცილებით უფრო საშინელი უბედურებანი, ვიდრე ჩვენ გვხვდა წილად. მან ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა იმ ძალების მოქმედების ერთიანობის შეკავშირება და განმტკიცება, რომლებიც იმპერიალისტი აგრესორების წინააღმდეგ იბრძვიან. ამერიკის შეერთებული შტატების მძართველი წრეები, თქვა მარშალმა, ცდილობენ აიძულონ ვიეტნამელი ხალხე მოახდინოს კაპიტულაცია. მაგრამ ვიეტნამს, განაცხადა მან დამაწყრეთა ტაშის გრიალში, ჰყავს მოკავშირეები — საბჭოთა კავშირი, სოციალიზმის ქვეყნები და მთელი პროგრესული ძალები.

ი. ს. კონევმა მოუწოდა ყველა ვეტერანს— ყოფილ თანამებრძოლებს ჰიტლერის ხმა ალიმაღლონ ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ, ვიდრე ოდესმე წარსულში. ეს არის მოძახილი იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ახორციელებს.

საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში კავკასიისათვის ბრძოლას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

მეორე მსოფლიო ომში ფაშისტები დიდ როლს ანიჭებდნენ კავკასიის დაპყრობას. მათ თვალი ეჭირათ ჩვენს წიაღისეულ სიმდიდრეზე — მაიკოპის, გროზნოს და ბაქოს ნავთზე, ჭიათურის მარგანეცის, ყაბარდოს მოლიბდენისა და სომხეთის სპილენძის საბადოებზე, ისინი ოცნებობდნენ კავკასიის უმდიდრესი სასოფლო-სამეურნეო რაიონების ხელში ჩაგდებაზე.

1942 წლის ივნისში სტალინგრადისა და კავკასიის დაპყრობის მიზნით ჰიტლერელებმა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე 80-მდე დივიზია გადმოისროლეს დიდძალი სატანკო და საავიაციო ნაწილებით. მთელი ეს ძალები მათ გააერთიანეს „ა“ და „ბ“ არმიების ორ მძლავრ დაჯგუფებაში; პირველი დასძრეს როსტოვ-კავკასიის. ხოლო მეორე ვორონეჟ-სტალინგრადის მიმართულებით.

1942 წლის აგვისტოს დამთავრებამდე ჰიტლერელთა მე-17 არმია და რუმინელთა კორპუსი ნოვოროსიისკისა და ტუაფსეს მიმართულებით მოიწევდნენ. სატანკო არმიამ კი ნალჩიკისა და ორჯონიკიძის მიმართულებით აიღო გეზი. ამიერკავკასიის ხალხებს დიდი საფრთხე ემუქრებოდა.

გაიშალა მუშაობა უღელტეხილებზე სიმაგრეების — სამხედრო მნიშვნელობის გზების, ხიდების, აეროდრომების, რკინიგზის ახალი ხაზებისა და სადგურების მშენებლობისათვის. ესოდენ დიდი მასშტაბის სამუშაოები ხორცელდებოდა ხალხის ფართო მასების პატრიოტული აქტივობით, რომელებსაც სათავეში კომუნისტური პარტია ედგა.

ჰიტლერელთა ე. წ. „ედელვეისის გეგმის“ თანახმად საქართველოს და ამიერკავკასიის დაპყრობა დაკისრებული ჰქონდა

გმირის პორტრეტი

მოქანდაკე ტიტე სიხარულიძე სამამულო ომის თემაზე შექმნილი რამდენიმე საინტერესო ნაწარმოების ავტორია. მისი ერთ-ერთი სკულპტურა — „მებრძოლი ჯარისკაცის ფიგურა ამშვენებს სევასტოპოლში საპუნ-გორაზე აღმართულ ობელისკის ანსამბლს, ამ ქალაქის გასათავისუფლებისათვის ბრძოლებში გმირულად დაღუპულ ქართველ მეომართა უკვდავსაყოფად რომ არის აგებული.

ფაშიზმზე გამარჯვების 20 წლისთავთან დაკავშირებით მოქანდაკე ამთავრებს საბჭოთა კავშირის გმირის ჰიროკო ბენდელიანის სკულპტურულ პორტრეტს, რომლის ფოტოტრეპროდუქციას ამ სურათზე ხედავთ.

სახალხო რისხვის დიდი ძალა

საქართველოს მშრომელები კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში

და გერმანელთა ჯარების „ა“ დაჯგუფების მე-17 არმიას, რომელიც 80 რჩეული დივიზიისგან შედგებოდა.

კავკასიონის მთავარ გადასასვლელებზე გადმოუვანილ იქნა უმთავრესად ბავარიელი და ტიროლელი მთამსვლელებისაგან დაკომპლექტებული სპეციალურად გაწვრთნილი 49-ე სამთო მსროლელი კორპუსი.

1942 წლის ივლისის ბოლოს ფაშისტური არმიის საგანგებოდ გაწვრთნილი სამთო დივიზიები, სატანკო და საავიაციო ნაწილები ფელდმარშალ ლისტის სარდლობით (შემდეგ იგი გენერალ-პოლკოვნიმა კლეისტმა შეცვალა) კავკასიის მისადგომებზე გამოჩენილნენ. მოკლე დროში მათ გაარღვიეს ფრონტი და შემოაღწიეს მთავარი ქედის უღელტეხილებზე, მტერმა დაიპყრო ჩრდილოეთ კავკასიის უმნიშვნელოვანესი რაიონები და ზღვისპირეთს მიუახლოვდა.

ფაშისტებმა მოახერხეს მარუხის, ქლუხორის, სანჭაროს და ზოგიერთი სხვა უღელტეხილის დაკავება, სოხუმის რაიონის ტერიტორიაზე ფაშისტებმა დაიპყრეს სოფელი ფსხუ. 1942 წლის აგვისტოში ჰიტლერელები დასავლეთ კავკასიის მისადგომებზე გამოიჭრნენ. 1942 წლის ნოემბერში დაიპყრეს ჩრდილოეთ კავკასიის მთელი რიგი ქალაქები: ნოვოროსიისკი, კრასნოდარი, სტავროპოლი, მინერალნეი ვოდები, ნალჩიკი, მოზდოკი და სხვ. გამხეცებულმა მტერმა შემოაღწია ქ. ორჯონიკიძის მისადგომებთან და კავკასიონის მთავარ გადასასვლელებამდეც მოვიდა. მტერი გააფთრებით მოიწევდა ამიერკავკასიისაკენ ბათუმის, თბილისის. ბაქოსა და ერევნის ხელში ჩასაგდებად. ფაშისტები ისე გათავხედდნენ, რომ ბაქოს აღების დღეც კი გამოაცხადეს — 1942 წლის 25 სექტემბერი.

1942 წლის 23 აგვისტოს თბილისში შედგა ამიერკავკასიის ანტიფაშისტური მიტინგი. მიტინგის მისალმებაში ნათქვამია: „მსოფლიოში არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს გათიშოს ამიერკავკასიის ხალხები, მოწყვეტოს ისინი დიდ რუს ხალხს. არც ერთი ნაბიჯი უკან. ამაყი კავკასიონის მთაგრეხილებთან მოგსაპოთ მტერი“. ამიერკავკასიის ხალხებმა ეს ფიცი, საბჭოთა არმიის მხარდამხარ ბრძოლებში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საქმედ აქციეს.

1942 წლის 24 სექტემბერს სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით სოხუმში, ბათუმში, ფოთსა და გაგრაში შეიქმნა თავდაცვის საქალაქო კომიტეტები. უმაგალითო აქტივობით გაცხოველდა თავდაცვის ნაგებობათა მშენებლობა აფხაზეთის, სვანეთის, ჯაჭვიერის, სამხრეთ-ოსეთის, დუშეთის, კავკასიის მთიანეთის რაიონებში. მოსახლეობა აკეთებდა გზებს და ხიდებს, ებრძოდა მტის სადესანტო ნაწილებს. ადგილობრივი მკვიდრნი იყვნენ მეთხილამურეები, მეგზურები, ნადიპერები, ალპინისტები, თბილი ტანსაცმლისა და სურსათ-სანოვაგის მიმწოდებელნი საბჭოთა მეომრებისათვის და დაჭრილ მებრძოლთა მომვლელნი.

ამიერკავკასიის დაპყრობის მიზნით დაძრული მტრის დიდი ძალების შესაჩერებლად და მათ გასანადგურებლად, ჩვენი ჯარებისათვის ქმედითი დახმარების აღმოსაჩენად გაგზავნილ იქნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკები, საოლქო და რაიონული კომიტეტების მდივნები. ისინი მოკმედებდნენ თავდაცვის კომიტეტის მითითებით.

კავკასიის დაცვის უმძიმეს დღეებში შეიქმნა ამიერკავკასიის ფრონტი და განხორციელდა სამხედრო ნაწილების გადაჯგუფება ფრონტის გადამწყვეტ უბნებზე არმიის გენერლის ი. ვ. ტიოლენევის სარდლობით.

საქართველოში ჩამოყალიბებულმა 46-ე არმიამ, რომელიც უმთავრესად ამერიკავკასიის ხალხთა შვილებით იყო დაკომპლექტებული და რომელსაც გენერალი კ. ლესელიძე სარდლობდა, ამ დიდი განსაცდელის დღეებში ასახელა სამშობლო. საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა მთელი რიგი ქართული დივიზიებისა. ისინი იბრძოდნენ ქერჩის, ტამანის ნახევარკუნძულის, სევასტოპოლის, ანაპის და ნოვოროსიისკის განთავისუფლებისათვის.

საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა ჩაშალეს ჰიტლერელთა მთავარსარდლობის ავანტიურისტული გეგმა.

1943 წლის იანვრის დასაწყისიდან ამიერკავკასიის ფრონტის ჯარები საერთო შეტევაზე გადავიდნენ და სამხრეთის ფრონტის ჯარებთან თანამოქმედებით შეუდგნენ გერმანელი ოკუპანტების განადგურებას ჩრდილოეთ კავკასიაში. მტერი ბევრჯერ შეეცადა მოეწყო კონტრშეტევა, მაგრამ საბჭოთა ჯარები მტერს ახალ ზღუდეზე გამაგრების საშუალებას არ აძლევდნენ.

კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში სამშობლო ასახელა ანაპის წითელდროშოვანმა 414-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ. ამ დივიზიამ მტრისა ბრძოლებით განვლო კასპიის ზღვიდან სევასტოპოლამდე და ბრძოლებით შეიპრა ქალაქის ქუჩებში. დივიზიამ დიდი როლი შეასრულა ტამანის ნახევარკუნძულისა და ქ. ანაპის და სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

კავკასიის დაცვისათვის ბრძოლა 14 თვეს გაგრძელდა. იგი მუდამ დარჩებათის უმძიმეს პირობებში ურთულესი შეტევითი და თავდაცვითი ოპერაციების მაგალითად. ამ ბრძოლებში სახმელეთო ჯარებთან ერთად მოქმედებდნენ სამხედრო-საზღვაო ფლოტი, ავიაცია და პარტიზანული შენაერთები, საბჭოთა არმიის მხარდამხარ იბრძოდა საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის უველაზე აქტიური ნაწილი. კავკასიის გმირულ დაცვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სტალინგრადის ისტორიული გამარჯვებისათვის.

ჩვენი სამშობლოს ამ უმძიმეს დღეებში, როცა ამიერკავკასია დროებით მოწყვეტილი აღმოჩნდა ცენტრს, საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხებმა უმაგალითო მამაცობა და გმირობა გამოიჩინეს. ამიერკავკასიის მთელი ძალები, მისი ეკონომიკა კავკასიის დაცვის პირიოდში გაერთიანდა და ის მდიდარი გამოცდილება, რაც ამ დარგში ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის პერიოდში იყო შეძენილი, შემოქმედებითად და მაქსიმალურად იქნა გამოყენებული. საქართველოს ქვანახშირით შეუფერხებლად მარაგდებოდა ამიერკავკასიის საწარმოები, ტრანსპორტი და შავი ზღვის ფლოტი. ყალიბდებოდა სატრანსპორტო რაზმები, რომელიც საქართველოს სამოქალაქო ავიაციასთან ერთად ძნელად მისაკვლელ მაღალ მთებში მებრძოლ ნაწილებს აწვდიდნენ იარაღს, სურსათსა და სხვა საჭირო საგნებს. ამ რაზმებს ეხმარებოდნენ ფრონტისპირა რაიონების მცხოვრებნი, რომლებმაც შეუცდომლად იცოდნენ ბილიკები და დაალასვლელები ციცაბო კლდეებსა და ხევებში, ხშირად იარაღითაც იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ და ჯარის ნაწილებში რჩებოდნენ. ქუთაისში, სოხუმში, გუდაუთში, ონში, ზუგდიდში და სხვ. ყალიბდებოდა ალპინისტური რაზმები, რომლებმაც დიდი დახმარება გაუწიეს საბჭოთა არმიას.

მშობლიური კავკასიის და გმირი ქალაქების დაცვის დღეებში საქართველოს მუშათა კლასმა დიდი პატრიოტული თავდადება გამოიჩინა. საქართველოს მაკინათმშენებლებმა, ქიმიური და ტალიქორ მრეწველობის მუშებმა მოკლე დროში აითვისეს 200-ზე მეტი დასახელების თავდაცვითი პროდუქცია. კავკასიის დაცვის დღეებში ამ პროდუქციის წარმოება დღითიდღე იზრდებოდა. თუ 1941 წელს საქართველოს [illegible] ათვისებულ იქნა [illegible] თავდაცვითი პროდუქცია, 1942 წელს მისი რაოდენობა [illegible] გაორკეცდა.

1943 წლისთვის საქართველოს [illegible] ბუკი მრეწველობის საწარმოებმა შეძლეს ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სრული კომპლექტის დამზადება 6 მილიონი ჯარისკაცისათვის, ე. ი. 106 დივიზიის მთელი შემადგენლობის შესაბამისად.

მეტად მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ამავე პერიოდში კვების მრეწველობის საწარმოებმა.

აქართველოს მშრომელები განუურეულად იყვნენ დაკავშირებულნი ფრონტთან; ფრონტისა და ზურგის ერთიანობა საქართველოს სინამდვილეში სტალინგრადისა და კავკასიის დაცვის პერიოდში უმაგალითოდ განმტკიცდა. იარაღ-საბურველისა და სურსათის ეშელონებთან ერთად ფრონტებზე იგზავნებოდნენ საბჭოთა არმიის ახალ-ახალი კვალიფიციური რეზერვები, პარტიული და საბჭოთა პასუხისმგებელი მუშაკები, ქიმიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები მიდიოდნენ ფრონტებზე, ხვდებოდნენ მებრძოლებს და ალაფრთოვანებდნენ მათ საგმირო საქმეებისათვის.

ჩვენი ქვეყნის მშრომელნი ქმნიდნენ სხვადასხვა ფონდებს ფრონტისათვის საბრძოლო საჯურვლის, თვითმფრინავთა ესკადრილიებისა და საატანკო კოლონების მისაწოდებლად, წითელარმიელთა ოჯახების, უდედმამოდ დარჩენილი ბავშვების, ევაკუირებული მოსახლეობის, დაჭრილი საბჭოთა მეომრების დასახმარებლად და ომით დაზარალებულ საბჭოთა რაიონებში სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღსადგენად. ამ დიდი განსაცდელი' ჟამს საქართველოს მშრომელებმა პირადი დანაზოგებით ააშენეს საატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნე“ და თვითმფრინავთა ესკადრილიები „საბჭოთა საქართველო“. ხშირი იყო შემთხვევა, როცა საწარმო-დაწესებულების მუშა-მოსამსახურეები, კოლმეურნეობები და ერთეული კოლმეურნენიც საკუთარი დანაზოგებით ყიდულობდნენ თვითმფრინავს, ტანკს და წყალქვეშა ნავსაკეკი, მაგალითად, ზემო სვანეთის მშრომელებმა ქართველი ხალხის საამაყო შვილს, საბჭოთა კავშირის გმირ მეზღვაურს წყალქვეშა ნავის კაპიტანს, იაროსლავ იოსეფიანს, რომელმაც მტრის 16 გემი ჩაძირა და 10.000-ზე მეტი ჰიტლერელი გიანდასალმა სიცოცხლეს, საკუთარი დანაზოგებით აუგეს წყალქვეშა ნავი და საჩუქრად გადასცეს თავიანთ სახელოვან თანამემამულეს.

საბჭოთა პატრიოტიზმის უკეთილშობილურესმა გრძნობებმა მოიცვა ხალხის უფროსოოესი მასები, მოხუცი და ახალგაზრდა. არ შეიძლება არ აგაღელვოს მოხუცი ლამისუანელი კოლმეურნის დავით გარაყანიძის პატრიოტულმა მოქმედებამ. მან ფრონტზე მყოფ შვილს ვალერიან გარაყანიძეს თავისი დანაზოგით ტანკი უყიდა. მამის მიერ გაგზავნილი ტანკით ლამისელანელი ტანკისტი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ებრძოდა მუხანათ მტრებს.

კავკასიის დაცვის გმირული ეპოპეის ისტორიულ მნიშვნელობაზე ნათლად მეტყველებს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 1 მაისის ბრძანებულებით დაწესებული მედალი „კავკასიის დაცვისათვის“. ამ მედლით ამიერკავკასიის მომძმე ხალხთა შვილებთან ერთად ათეულ ათასობით ქართველი მეომარიც არის დაჯილდოებული. კავკასიას ქართველი ხალხის მხარდამხარ იცავდნენ მთელი საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხები.

მედლით „კავკასიის დაცვისათვის“ დაჯილდოებულია საქართველოს 50.000-მდე მშრომელი: რესპუბლიკის მოწინავე მუშები და კოლმეურნე გლეხები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც აქტიურად ეხმარებოდნენ საბჭოთა არმიას და ზურგში თავდადებული შრომით აჩქარებდნენ კავკასიის მისადგომებთან გამოჩენილ მტრის განადგურებას.

ავთ. იოსელიანი,
პროფესორი.

ᲛᲔᲦᲕᲘᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ

მიხეილ მიქელაძემ არმიის სარდლობისაგან მორიგი ბრძანება მიიღო. მას თავისი ჯარი დნეპრის მარცხენა ნაპირით დაუყოვნებლივ ზოლოტონოშაში უნდა ჩაეყვანა, მეორედ მოებდინა მიხაილის ფოროსრება და მოწინააღმდეგის ზურგში შეპრალ ჩეკალაში გამაგრებული მტრის გარნიზონები ცეცხლის რკალში მოემწყვდია.

წინ იყო ისევ გრძელი მარშები, სისხლიანი იერიშები, შემდეგ კვლავ დნეპრი და მისი ფორსირება, მაგრამ მიქელაძის მეომრებისათვის ახლა მდინარის 500-600 მეტრიანი სარკის გადალახვა არც უცხო იყო და არც ზაფრის მომგვრელი.

გზაზე მიმავალ დივიზიას მტრის თვითმფრინავები უტევდნენ ხშირად, დამეხილ მინდვრებზე კვლავ ახალი ორმოები ჩნდებოდა, საპასუხო ჟურვებს მიქელაძის ჯარისკაცებიც უგზავნიდნენ მტერს. ერთმა ფრთამტაფხილმა „მესერშმიტმაც“ შავადშებოლილი კუდით სივრცე მოხაზა და ალმოდებული მიწას დაეხარცხა. საბჭოთა მეომრებისათვის ამგვარი სანახაობა გულიდან ჯავრის ამოყრას ნიშნავდა და მათი მოკუმული ბაგეებიც ახსხებოდა. თვალის უპეებთან ნოყვები ჩნდებოდა. აქაიც გაისმოდა სიცილი, გინებაც. მაგრამ მათი ხმა ფეხების ბაკუნსა და მეხლუხების ღრჭიალში იკარგებოდა.

ჩერკასიდან რამდენადმე დაშორებით, ორდინსკის გაუვალი ჭაობებით გარსშემოვლებულ ტყის მასივებში დაბანაკებული იყო პარტიზანული რაზმები. მათ დეზორგანიზაცია შეაქონდათ მტრის ზურგში, ცრუ დარტყმებით აბუუბდნენ მტერს, როცა დიდი და სერიოზული დარტყმისათვის თვით საბჭოთა ჯარი ემზადებოდა. ახლაც გენერალი მიქელაძე დანიშნულ ადგილზე ჩავიდა და ჩერკასის ტყიდან ივაშჩენკოს პარტიზანულმა რაზმელებმა მოქმედება გააქტიურეს. მოკლე ხანში დივიზიის მეთაურმა რუკა მიიღო, რომელზეც მტრის საცეცხლე წერტილებისა და სხვა მოგერიებითი საშუალებების განლაგება იყო აღნიშნული. გვარდიელებს მინიშნებულ ადგილზე ნაგები დაახვედრეს, დივიზიის დნეპრზე გადასაყვანად ეს მეტად მცირე იყო და საინჟინრო ხაზილები სწრაფად ამუშავდნენ. ძელებისაგან იკერებოდა ტივები, შეხდებოდა ბორანი და პონტონები, დხვრის ჭაობიან მისადგომებზე აწყობდნენ ფიჩხფენილებსა და ლიამწოვრებს.

განთიადისას ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ დივიზიის მეთაურმა მდინარის გადალახვა ბრძანა. სნაიპერებმა ნავებისა და ტივების პირველი ქარავანი ნაპირს მოწყვიტეს. მტერმა სროლა გააძლიერა. ძლიერი ცეცხლით უპასუხეს საბჭოთა არტილერისტებმაც. ცეცხლის სეტყვის ქვეშ მსროლელთა ქვეგანაყოფების ტანსაწინააღმდეგო არტილერია და ნაღმმტყორცნელები მიჰყვნენ. ბრძოლა სულ უფრო ადამატენი ხდებოდა. დაუნდობელი მტერი, ბობოქრობდა. დივიზიის მეშინაეეები მაინც მოპირდაპირე ნაპირისაკენ მიიცლეოდნენ გზას. ბრძოლის დაწყებიდან ერთი საათი გავიდა, მტრის დაცვის გარღვევა გაჭირდა.

— ჩემი ბიჭების იმედი მაქვს; ისინი ცეცხლის ხახს ვაანგარეევენ. — ფიქრობდა მიქელაძე და ძალიან ჯარგად იცოდა, რომ მის ბიჭებს სამ-ოთხ ფენად გამაგრებული დაცვის გარღვევა უხდებოდათ. ისიც იცოდა, რომ ეს წარმოუდგენლად ძნელი იყო. და, მიუხედავად ამისა, თავისი ჯარის გამარჯვება მტკიცედ სჯეროდა.

ამ მძიმე წუთებში არ შეიძლებოდა დივიზიის მეთაური გულდამშვიდებული ყოფილიყო, მაგრამ მისი სახე და შავი, დიდრონი თვალები სულიერ მღელვარებას სულაც არ ამჟღავნებდნენ. თითქოს ყველა გრძნობა ღრმად ჭრილიყო გულში ჩაკეტილი. ეერც უძილობამ, ვერც უმაგალითო ზრომამ მისი ნერვული სისტემა ვერ შეარყია, სულიერი სიმტკიცე ვერ გატეხა. იგი საკმაოდ პუნქტიდან ჯოგრიტით თავისა და მტრის ჯარის მოქმედებას თვალყურს ადევნებდა და ბრძანებებს იძლეოდა.

გავიდა ორი მძიმე საათი. ჟურვების გრუხუნი მაინც არ წყდებოდა. დნეპრზე ქვაბლის შავი ზვინები დადგა.

— ყორჩალ, ბიჭებო, — მიქელაძემ ჩოლოჟრებული ტუჩები შეარხია. ხეფაკთ, მარცხენა ფლანგზე ხალმტყორცნელები როგორ მარჯობენ? — თქვა გენერალმა. სტერეომილში ახლა თანამეგზავრ გაახედა. ცეცხლის ეკედელი ნაპირს მიადგა. მტერიც ეუნესრიგოდ აწრიალდა. პარტიზანებმა მათ მეორე მხრიდან შემოუტიეს და დარტყმაც თავიანთ თავზე გადაიტანეს. ამით ისარგებლეს მიქელაძის მეწინავეებმა და მდინარის კიდეს ჩაებღაუჭნენ, მის ლაქაშინან ნაპირზე ფეხის მოსაკიდებელი ადგილი გაითავისუფლეს. მოწინააღმდეგე გაშმაგებით ეკვეთა და მათი ნაპირიდან გადახვეტა მოიწადინა, მაგრამ მეწინავეების კვალდაკვალ მეორე... მესამე... მეოთხე ეშელონი მიპყვა. ჩერკასის ტყიდან ივაშჩენკოს პარტიზანულ შენაერთებს მაშველი რაზმები შეემატა. და შეტევა გაძლიერდა. ორმაგი ცეცხლის ქვეშ მოწინააღმდეგემ უკანდახევა დაიწყო. გვარდიელებმა ნეპრის მარჯვენა ნაპირზე ახლა უკვე მტკიცედ მოიკიდეს ფეხი, ბრძოლის ინიციატივაც მათ ხელში გადმოვიდა.

დღის მეორე ნახევრისათვის მიქელაძის მეწინავეები კვლავ დნეპრის ნაპირებს მიადგნენ. ამჯერად ქალაქის მარჯვენა ნაპირზე პლაცდარმი დაიკავეს და მტრისათვის საბედისწერო ნახევარი წრეც შეიკრა.

ეს იყო საბჭოთა მეომრების დიდი გამარჯვება და დიდი სიხარული.

დაიწყებას მისაცემოდა ხანგრძლივი ოპერაციებითა და ძმიმე ბრძოლებით მოღებული ტაკვილები. არც მიქელაძემ დაარღვია მათი ჯარისკაცური მყუდროება და თავისი მოწურისაკენ წყიდა. ის იყო კიბე ჩაათავა, რომ ღამისეული წყვდიადი კვლავ ყემბარების გაძლიერებულმა ბათქმა გაბზარა, მხოლოდ ზარბაზნების ბრიალი ახლა სულ სხვა მხრიდან მოისმოდა, ვიდრე ეს იყო მოსალოდნელი, და გენერალი ერთ ადგილიდან გაქცევდა. იმავე წუთს მზვერავთა ჯგუფის მეთაურმა მას მიუტან ცუდი ამბავი უპატაჯა.

თავდასხმა მოხდა, ზმოდა, ზარაფად, მოულოდნელად, სარნიდან, სადაც ჰიტლერელთა მნიშვნელოვანი ძალა იმყოფებოდა, წამოვიდნენ მტრის შენაერთები, საბჭოთა ჯარის მიერ შეკრული რკალი გაარღვიეს და ალყაში მოქცეულ ნაწილებთან შესაერთებლად გზა გაიხსნეს.

მიქელაძის დივიზია უცად დიდი და ძმიმე განსაცდელის წინ აღმოჩნდა. სარნიდან ჯავშანსატანკო შენაერთების, ყვითელბაღლოველების და ტყვიების ნიაღვარი წამოვიდა. მტერი ჩერკასში გამომწყვდეული გარნიზონების დასახმარებლად დიდძალ ტექნიკასა და ჯარს გზავნიდა. სიცივდილის მთესავი ძალა მიქელაძის განწყვეტილ დივიზიას შუაში უნდა გაეტარებინა. გენერალს სახე მოექუფრა; იგი უმალ მიხვდა მდგომარეობის სერიოზულობას და ნ

ჩვენი სტუმრები

მღერის ქილბერ ბეკო

ჩვენი დედაქალაქის საესტრადო ხელოვნების მოუვარულებს დიდი სიამოვნება მოუტანა ცნობილი ფრანგი მომღერლის ჟილბერ ბეკოს კონცერტებმა, რომლებიც სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში და სპორტის სასახლეში გაიმართა.

კონცერტში მომღერალი გამოდის საესტრადო ანსამბლთან ერთად (დირიჟორი რაიმონ ბერნარი), რომლის შემადგენლობაში ოთხი მუსიკოსია — ჟილბერ სიგრისტი (ფორტეპიანო), ჰარი კაცი (გიტარა), ალიკ ბრეტი (კონტრაბასი) და პიერ ლემარშანი (დასარტყმელი ინსტრუმენტები).

ჟილბერ ბეკო თავის კონცერტებზე ჩვენ გავიცანით არა მარტო როგორც მშვენიერი საესტრადო მომღერალი, არამედ როგორც კომპოზიტორიც: ყველა სიმღერის ავტორი თვითონ მომღერალია. და, თანაც კონცერტის პროგრამა უადრესად მდიდარი და მრავალფეროვანია. ჟილბერ ბეკო სიმღერას არა მარტო მღერის, არამედ თეატრალურად ასრულებს. ასე რომ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჟილბერ ბეკოს სიმღერებს თქვენ არა მარტო ისმენთ, არამედ ხედავთ კიდეც...

თბილისს გარდა ჟილბერ ბეკოს კონცერტები წარმოუდგენია ბაკოში, ლენინგრადსა და ბაკოში.

• • •

სურათზე: მღერის ჟილბერ ბეკო.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ვის ვნახავთ, ვის მოვუსმენთ

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში 15, 17 და 19 მაისს გაიმართება საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო მოცეკვავის, ცეკვის ორი მსოფლიო კონკურსის (პარიზში) ლაურეატისა და ცეკვის საერთაშორისო კონკურსის (სოფიაში) ლაურეატის, დამსახურებული არტისტის **ვლადიმერ ვასილიევის** გასტროლები.

ამჟამად იგი ითვლება ბალეტ „დონ-კიხოტში" ბაზილის პარტიისა და ბალეტ „ლაურენსიაში" ფრონდოსის პარტიის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად. მსახიობის პარტნიორები იქნებიან — „დონ-კიხოტში" სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნინო ბოგომოლოვა, „ლაურენსიაში" — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვერა წიგნაძე.

15 და 17 მაისს ისინი გამოვლენ ბალეტ „დონ-კიხოტში", ხოლო 19 მაისს — ბალეტ „ლაურენსიაში".

თბილისელი მაყურებელი კარგად იცნობს მსახიობ **ნინელ ტკაჩენკოს**, რომლის გასტროლებმა ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენს თეატრში დიდი წარმატებით ჩაიარა. მსახიობს მშვენიერი ხმა აქვს. იშვიათია, რომ ერთსა და იმავე სეზონში მსახიობს ორჯერ ჰქონდეს გასტროლები. ნინელ ტკაჩენკო კი ბირეტიამ ამ სეზონში მეორედ მოიწვია. ამჯერად მსახიობი გამოვა ოპერებში „აიდასა" და „ტრუბადურში" — 20 და 22 მაისს, ხოლო 23 მაისს — საკონცერტო პროგრამით.

მსახიობის პარტნიორი ოპერებში „აიდასა" და „ტრუბადურში" იქნება აგრეთვე შესანიშნავი ხმის (მეცო-სოპრანო) პატრონი — სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **ლარისა ნიკიტინა**, რომელიც რამდენიმე წლის წინათ გამოდიოდა ჩვენს თეატრში. ჩვენს მაყურებელს იგი კარგად ახსოვს. ოპერა „აიდაში" ლ. ნიკიტინა შეასრულებს ამნერისის პარტიას, ხოლო ოპერა „ტრუბადურში" — აზუჩენას პარტიას.

სეზონის ბოლომდე • აბონემენტების მფლობელები ნახავენ თითქმის ყველა გასტროლიორს. მათ აგრეთვე უპირატესობა მიეცემათ ბილეთების შეძენაში აბონემენტს გარეშე სპექტაკლებზე, რომლებშიც გამოვლენ გამოჩენილი გასტროლიორები.

დიდგეგის ოგელისკი

გათუმი. (საქდესი). ქალაქის სანაპიროზე, წარმტაც სკვერში გაიმართა ბათუმის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე დაღუპულ მეომართა პატივსაცემად დიდების ობელისკის საძირკვლის ჩაყრას.

მიტინგის დამთავრების შემდეგ გრანიტის საძირკველს საბურველი მოხსნეს. გრანიტზე რუსულ და ქართულ ენებზე წარწერილია:

„აქ აღიმართება დიდების ობელისკი დიდ სამამულო ომში დაღუპულ მეომართა პატივსაცემად".

გაინცილავენ გრიბოედოველთა სპექტაკლებს

ას წელზე მეტია, რაც საქართველოში რუსული თეატრი არსებობს, რაც რუსულ თეატრს თანამგზავრობა და შემოქმედებითი კონტაქტი აქვს ქართულ თეატრთან. ახლა ამ მისიას ასრულებს გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრი. გრიბოედოველებს სამართლიანად უწოდებენ საქართველოში რუსული თეატრალური კულტურის წარმომადგენლებს და პირველ-ით, ქართული თეატრალური კულტურის წარმომადგენლებს რუსეთში. ეს მდგომარეობა ავალებს კოლექტივს დაუღალავად გაუმჯობესოს თავისი ოსტატობა, დადგმების კულტურა, მკაცრად შეარჩიოს რეპერტუარი.

ამაზე და სხვა არანაკლებ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე გაიმართა დიდი და პრინციპული საუბარი, 10 მაისს ხელოვნების მუშაკთა სახლში, სადაც საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო გრიბოედოვის თეატრის სპექტაკლების განხილვა.

განხილვა შესავალი სიტყვით გახსნა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" რედაქტორმა, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ო. ეგაძემ.

მოხსენებები გააკეთეს თეატრმცოდნეებმა ნ. ურუშაძემ, ე. გუგუშვილმა, რეჟისორმა მ. გიორგობერლმა.

განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ა. დვალიშვილი, გრიბოედოვის სახელობის თეატრის დირექტორი პ. მურღულია, რეჟისორები ნ. ეშბა, მ. ოლშანსკაია, ო. ალექსიშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. პიასეცკი; დრამატურგი ო. ჩიჭავაძე, თეატრმცოდნე ნ. შავგულიძე, გადამდგარი პოლკოვნიკი ი. კოტელნიკოვი. ძირითადად განხილულ ოთხი დადგმა — „ანა ფრანკის დღიური" და „104 ფურცელი სიყვარულის შესახებ" (მ კოპუხიძის დადგმა), „მილიონერი" (ნ. ეშბას დადგმა) და თეატრის უკანასკნელი პრემიერა „საზოგრის დამრღვევი" (მ. პიასეცკის დადგმა).

(საქდესი).

„ნაკაღულის" ფიგვნის თაროს

ეთერ რაზიკაშვილი — პოეტების ოჯახში (მოგონება ვაჟას, ბაჩანასა და ფიდო რაზიკაშვილების შესახებ). რედაქტორი ა. ბრეგაძე „მხატვარი" დ. დუნდუა, გვ. 56. ფასი 10 კაპ.

ევგენი ვინოკუროვი — ლირიკა (ლექსების კრებული). თარგმანი ხ. ბერულავასი, კ. ნიქაბაძის, ე. კვიტაიშვილის, მ. ლებანიძის, შ. ჩანტლაძის და ო. ჭელიძისა. რედაქტორი შ. ნიშნიანიძე, მხატვარი თ. მირზაშვილი. გვ. 74, ფასი 13 კაპ.

ზ. ი. ბერიშვილი

გარდაიცვალა ქართული თეატრისა და კინოს უხუცესი მეცნიერი, ...